ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 9 აპრილი, 2021 №60 (8589) ფასი: 60 თეთრი

აფგან მუხთარლის გამოკითხვა ვერ შედგა

გვ.5

გვ.5

წყნეთში მამის მკვლელობისთვის 31 წლის დ.ფ. დააკავეს

„მელიას დაჭერით „ოცნებამ“ ოპოზიციის საქმე გააკეთა“

გვ.2

აკაკი ბობოხიძე: „ბიუჯეტიც რომ დაემხობა, „ოცნებას“ საჯარო სექტორში დასაქმებულებიც მტრად მოეკიდებიან“

გვ.3

„მელიას გამოშვება ივანიშვილსა და მის მოურავ ხელისუფლებას მაინც მოუწევთ“

ლევან ხაბეიშვილი: „ხალხს ცვლილებები და კეთილდღეობა უნდა და არა ის, რომ ხაბეიშვილი ნახონ პარლამენტში!“

„საქართველოში ხელისუფლება ანტივაქსერია“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლებას 200-მდე ჰესის მშენებლობა აქვს ჩაფიქრებული“



გვ.3

„პოზნერის შემოშვება კანონის დარღვევა იყო. რუს ტურისტს არავინ დევნის“



გვ.4

თამარ ჩხეიძე: „დევნილებისა და აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა საქართველოს ხელისუფლებას არ ადარდებს“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „პარტნიორების მხრიდან ზეწოლა ხდება „ქართულ ოცნებაზეც“ და ჩვენზეც“

გვ.2

„ბოიკოტი ზიანს აყენებს ქვეყანას, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯია“

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.652 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

4 კოვიდის 51 შემთხვევა აბაშაში

2 გიორგი გახარია ხარებას გორის ეპარქიაში შეხვდა

5 საფრანგეთში გია სურამელაშვილის შვილი, ნუგზარი, დააკავეს

6 დაიწყება თუ არა რუსეთ-უკრაინის დიდი ომი?!

„მელიას დაჭერით „ოცნებამ“ ოპოზიციის საქმე გააკეთა“

აკაკი ბობოხიძე: „ბიუჯეტიც რომ დაემხობა, „ოცნებას“ საჯარო სექტორში დასაქმებულებიც მტრად მოეკიდებიან“

იაგო ნაცვლიშვილი

შეიცვლება თუ არა ოპოზიციის გეგმაში რამე მელიას პატიმრობაში დატოვებით? რა არჩევანის წინაშეა ხელისუფლება? რა პასუხი აქვთ იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ოპოზიციის პარლამენტში შესვლას ემხრობიან და ხომ არ შეიმჩნევა გარკვეული დისონანსი ოპოზიციაში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.

აკაკი ბობოხიძე:

– ნიკა მელიას მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილება „ქართული ოცნებისთვის“ პრობლემატურია, ამ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. მოდით, დავფიქრდეთ, მელიას დაკავებამ „ოცნებას“ პრობლემები მოუმატა თუ არა. მაშინ, როდესაც საქართველოში არ იყო აქტიური საპროტესტო გამოსვლები, რადგან ველოდებოდით აშშ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე ადამიანების დანიშვნების პროცესის დასრულებას და ამის შემდეგ გააქტიურებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ, უცებ დააკავეს მელია და ჩვენი გასაკეთებელი საქმე, რომელიც მომავალში უნდა გაგვეკეთებინა, პირდაპირ გაკეთეს. მეორე დღიდანვე წამოვიდა განცხადებების ქარიშხალი ხელისუფლების წინააღმდეგ, ანუ მელიას ციხეში ყოფნა პირველ რიგში „ქართული ოცნებისთვის“ არის პრობლემა.

დღეს „ქართულ ოცნებას“ პრობლემა აქვს შიდა და გარე ფრონტზე. გამოუშვებენ და შიგნით ექნებათ პრობლემა, რადგან ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე საპროტესტო აქციების წინ გამოდის ციხიდან, არ გამოუშვებენ და გარეთ აქვთ პრობლემა.

– შიდა პრობლემაში „ოცნების“ რიგებსაც ხომ არ გულისხმობთ, რომ საკუთარი მომხრეები ამას ვერ გაიგებენ?

– „ოცნება“ ძალისმიერ მეთოდებს იმიტომ იყენებს, რომ საკუთარ მომხრეებს დაანახონ, თითქოს მყარად დგანან. ჩვენი მტერი იყოს ისეთ მყარ მდგომარეობაში, როგორშიც „ოცნებაა“ ახლა და, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანაც, „ოცნების“ გადამკიდე. თითოეული მოქალაქე საკუთარ თავზე გრძნობს პრობლემების უზარმაზარ ტვირთს. მე არა მარტო ვგრძნობ, არამედ ვიცი კიდეც, რა გველოდება მომავალში. ქვეყანა არსებობს დახმარების ამარა და მხოლოდ დახმარების ხარჯზე. თუ „ქართული ოცნება“ ასე გააგრძელებს, ჩვენ ამ დახმარებებსაც დავკარგავთ და, შესაძლოა, ხელფასებისა და პენსიებიც გაცემის პრობლემაც კი დადგეს.

– აგერ, ქვეყნის განვითარების ათწლიან გეგმას დებენ.

– ათწლიანი გეგმა ხომ ბევრჯერ დადეს! პირველი სწორედ ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობის დროს დადეს და ვინმეს ახსოვს ეგ ათწლიანი გეგმა საერთოდ?!

– ეს საკუთარი მხარდამჭერების დარწმუნების მცდელობაა, რომ ყველაფერი კარგად იქნება?

– „ოცნება“ ხომ არაფერში არწმუნებს მხარდამჭერებს! უბრალოდ, უნდათ, ილუზია შექმნან, თითქოს მტკიცედ არიან, ოღონდ, რატომ ჰგონიათ, რომ უხეში ძალის გამოვლინება იქნება სიმტკიცის მაჩვენებელი, არ ვიცი. ეს ყველაფერი აისახება ეკონომიკაზე, მაგრამ, როდესაც ეკონომიკას ვერაფერს ვეღარ მოუხერხებენ, მტერი და მოყვარე – ყველა გადაეკიდება „ქართულ ოცნებას“. ეს საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურებში დასაქმებული ადამიანების ხელფასებს. თქვენ მართლა გგონიათ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი იდეოლოგიზებული ამომრჩეველია და ამის გამო არიან „ოცნებასთან“?! ათასობით ადამიანი გაფორმებულია საჯარო სამსახურში, იღებენ ბიუჯეტიდან ხელფასს ან ნაწილი ჩაფლულია კორუფციაში. როდესაც კორუფციის წყარო გადაიკეტება და ბიუჯეტიდან ვეღარ დაფინანსდებიან, ეს ინტერესიც ჩაიხსნება.

ეს „ოცნების“ სიძუნწეზე მეტყველებს და ცუდი თვისებაა, მაგრამ, მეორე მხრივ, კარგია. ვგულისხმობ იმას, რომ „ოცნების“ წევრები წაღებული ფულის უკან მომტანები არ არიან. დღემდე ყველა არჩევნებს ბიუჯეტის ხარჯზე აფინანსებდნენ.

– თუ არ გაათავისუფლებენ მელიას, მაშინ იცვლება თუ არა ოპოზიციის გეგმა თუ მიჰყვებით იმ გეგმას, რომელიც დასახეთ?

– არა, არ იცვლება. როდესაც გეგმა შევადგინეთ, მელია ციხეში იყო და ჩვენ მივყვებით იმ გეგმას. მელია თუ გამოვა, იმედი გვაქვს, ახალი მუხტი და ენთუზიაზმი გაჩნდება. უბრალოდ, რაღაცები კიდევ დაჩქარდება. ამიტომ არის ცუდ დღეში „ოცნება“, ოღონდ პოლიტპატიმრების საკითხის გადაწყვეტა ამწუთში „ოცნებას“ აწყობს და ეძებს მისი გადაწყვეტის გზებს, მაგრამ, როგორ უნდა ნახოს ასეთი გზა, რომ მხოლოდ დადებითი დივიდენდი ჰქონდეს და არ დაზიანდეს თუნდაც თავის ამომრჩეველთან, ეს მათი თავისტკივილია და იფიქრონ ამაზე. ყოველ შემთხვევაში, თუ მელიას გამოუშვებენ, გარე ასპარეზზე ჩვენს პარტნიორებთან დიდი თავისტკივილი მოშორდებათ.

– გარკვეული დისონანსი ხომ არ არის ოპოზიციაში? იქ თაკო ჩარკვიანი აკრიტიკებს მწვავედ სალომე სამადაშვილს, იქ ასევე ბურჯანაძის მიუღებლობა აქვს, იქ გიორგი ვაშაძე არ გამორიცხავს „ოცნებასთან“ ინდივიდუალურ მოლაპარაკებას... რა ხდება ოპოზიციაში?

– არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სრულიად ბუნებრივი რამე ხდება. ოპოზიცია ხომ მრავალპარტიულია და იმიტომ ვართ მრავალპარტიული, რომ სხვადასხვა შეხედულება და გეგმა გვაქვს. ამიტომ ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივია, თუმცა რაღაც თემებზე საერთო გადაწყვეტილებებს ვინარჩუნებთ. გასაკვირი არ არის, რომ მიმდინარე საკითხებზე არის აზრთა სხვადასხვაობა, რაც ასევე ბუნებრივია. მთავარია, რომ საერთო გადაწყვეტილებები გვქონდეს მთავარ საკითხებზე.

– თქვენ თუ ხართ მზად, ინდივიდუალურ მოლაპარაკებაზე დასხდეთ „ოცნებასთან“?

– გარწმუნებთ, „ოცნებასთან“ ცალ-ცალკე საუბარს არანაირი სარგებელი არ ექნება. შედეგი რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ დავსხდებოდით. ჩვენ სწორედ ის პარტია ვართ, რომელიც რაღაცებს ვამბობთ და ვმოქმედებთ იმის მიუხედავად, ელექტორალურად გვაზიანებს თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში, მაგრამ „ქართულ ოცნებასთან“ ცალ-ცალკე ლაპარაკს აზრი არ აქვს. შედეგი თუ გვინდა, ერთობლივი გადაწყვეტილებები უნდა გვქონდეს და ეს უნდა იყოს შენარჩუნებული.

„ოცნება“ არ არის რაციონალური ძალა. ის არის ირაციონალური ძალა, რომელიც გადაწყვეტილებებს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მოტივით იღებს. საბოლოო ჯამში, დაკარგავენ ხელისუფლებას, მაგრამ განსხვავება ჩვენს ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის, იცით, რა არის? თუ გვქონდა შეცდომები, დადებითი რაღაცა მაინც დარჩა ქვეყანას ჩვენი ხელისუფლების ნამოქმედარიდან. წარმომიდგენია, სად ვიქნებოდით, ამ ხელისუფლებას შევარდნაძის მემკვიდრეობა რომ გადასცემოდა. „ოცნების“ მმართველობიდან კარგი რა დარჩება ქვეყანას, ამას ვერავინ მეტყვის.

– სოციოლოგიურ კვლევებში ადამიანების უმეტესობა ამბობს, რომ სურდათ ოპოზიციის პარლამენტში შესვლა და იქიდან ბრძოლა. რა პასუხი გაქვთ ამაზე და ხვდებით, ალბათ, ხალხის განწყობას.

– მეტ-ნაკლებად ასეა. ამომრჩეველმა ხმა ხომ იმიტომ მოგცა, რომ პარლამენტში შესულიყავი და შენი, როგორც დეპუტატის რესურსი მერე მასაც გამოეყენებინა. 30 წელია, პოლიტიკაში ვარ და ამ ხნის განმავლობაში თავის შენარჩუნება იოლი საქმე არ არის პოლიტიკაში, ოღონდ ვცდილობდი, რომ ამომრჩეველს რაღაცით დავხმარებოდი. დღეს, როდესაც დეპუტატი არ ვარ, ჩემი შესაძლებლობები შემცირდა და მათ პრობლემებს ვერ ვპასუხობ. შესაძლოა, ჩემს ამომრჩეველს ურჩევნია კიდეც, რომ პარლამენტში ვიყო, მაგრამ საერთო საქმისთვის ჩვენი პოზიციაა სწორი.

– საბოლოო ჯამში, თქვენს გადაწყვეტილებას გაიგებს ამომრჩეველი?

– იმედი მაქვს, რომ გაიგებენ, როგორც კი შედეგი იქნება მიღწეული და ვიმედოვნებ, რომ შედეგი აუცილებლად გვექნება. დღეს პარლამენტში არშესვლა „ოცნების“ იძულებაში ყველაზე ეფექტურია. ეს ხომ ფაქტია! „ოცნება“ არც სასამართლო რეფორმებზე დაილაპარაკებდა და არც საარჩევნო რეფორმაზე ან პარლამენტში ძალაუფლების განაწილებაზე. ეს დღის წესრიგში არც კი დადგებოდა, ჩვენ რომ პარლამენტში შევსულიყავით. დავინახეთ, რომ პარლამენტში არშესვლამ შედეგი უკვე გამოიღო. ახლა მთავარია, ბოლომდე მივიყვანოთ.

– კი, ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ილაპარაკოს, რამდენიც უნდა, თუ საქმე არ იქნება ბოლომდე მიყვანილი.

– მანდ უკვე ცოტა სხვანაირად არის საქმე. ილაპარაკებდა, პარლამენტში რომ შევსულიყავით, მაგრამ დღეს უკვე, ლაპარაკის გარდა, ამას მოჰყვა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ჩართვა. ხვალ და ზეგ ამას მოჰყვება სერიოზული სანქციები, ოღონდ ჩვენ გვინდა, რომ ეს ქვეყანას კი არ დაუწესდეს, არამედ – „ოცნების“ ლიდერებს. ინტერვიუს თავში ვახსენე ჩვენი პარტნიორების დახმარება და ამის გარეშე ბიუჯეტიც თავზე ჩამოგვემხობოდა, მარტო ეკონომიკა კი არა, როგორც ახლაა. როდესაც ბიუჯეტსაც შეექმნება პრობლემები და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები ხელფასებს ვეღარ აიღებენ, მაშინ მიხვდებიან, როგორ ცდებოდნენ, როდესაც „ოცნების“ გაუმართლებელ მმართველობას ამართლებდნენ.

გიორგი გახარია ხარებას გორის ეპარქიაში შეხვდა

გიორგი გახარიას კიდევ ერთი მოულოდნელი ვიზიტი. ყოფილი პრემიერი, რომელიც პოსტიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკურ კარიერას აგრძელებს, 7 აპრილს, ხარება დღეს, გორის ეპარქიაში გამოჩნდა.

გიორგი გახარია მიტროპოლიტ ანდრია გვაზავას რეზიდენციაში ესტუმრა. მასთან ერთად იყვნენ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები და უახლოესი გარემოცვის წევრები კოტე ანანიაშვილი, კახა საბანაძე და გიორგი ხოჯევანიშვილი.

ვიზიტს არავინ უარყოფს, თუმცა რაზე ისაუბრეს მიტროპოლიტმა, რომელიც პატრიარქობის ერთ-ერთი პრეტენდენტია და მთავრობის ყოფილმა მეთაურმა, უცნობია.

ეპარქიაში ამბობენ, რომ ყოფილი პრემიერი მეუფე ანდრიამ „ფინჯან ყავაზე მიიპატიჟა“, შეხვედრა იყო მეგობრული და გახარია თავის თანამოაზრეებთან ერთად რეგიონში ტაძრის მოსალოცად იყო ჩასული, თუმცა არაოფიციალურად, გიორგი გახარია არა მხოლოდ ფინჯან ყავაზე, მეუფე ანდრიამ ვახშამზეც მიიწვია და ის იქ იმაზე გაცილებით დიდხანს დარჩა, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

გახარიას ვოიაჟს გორში ოპოზიციაში ყოფილი პრემიერის პოლიტიკურ მიზნებსა და მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირებენ.

„მთავარი“ კოტე ანანიაშვილს ესაუბრა, რომელიც ამბობს, რომ გორში „მეუფე მოინახულეს“. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ანანიაშვილი გახარიას გეგმებზე არ საუბრობს.

ანანიაშვილი ჯერჯერობით არ ადასტურებს, რომ გახარია მას გორის მერობის კანდიდატად განიხილავს.

გიორგი ვაშაძე: „პარტნიორების მხრიდან ზეწოლა ხდება „ქართულ ოცნებაზეც“ და ჩვენზეც“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის განცხადებით, პარტნიორების მხრიდან ზეწოლა როგორც „ქართულ ოცნებაზე“, ისე ოპოზიციაზე მიმდინარეობს.

როგორც ვაშაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა, „ეს პროცესი, შესაძლოა, მაქსიმუმ ორი კვირა გაიწელოს“.

კითხვაზე, რა აძლევს მოლოდინის საფუძველს, რომ ამ ხნის განმავლობაში „ქართული ოცნება“ პოზიციებს შეიცვლის, ვაშაძე ამბობს, რომ მისი მოლოდინი დასავლელი პარტნიორების განწყობითაა განპირობებული.

– შეთანხმება ცუდი არ არის, არ „ტეხავს“. შეთანხმება და კომპრომისი არ ნიშნავს, რომ მე წავაგე და სხვამ მოიგო. ზეწოლა ხდება „ქართულ ოცნებაზეც“ და ჩვენზეც, მაგრამ, გარდა ამისა, საზოგადოების განწყობა არის შეთანხმებისკენ, ხალხს უნდა შეთანხმება. როდესაც ხელისუფლებაში ხარ, თუ არ შეთანხმდები, „თაგვმა თხარა, თხარაო“... ისე გამოგივა ყველაფერი. სანამ დროა ნორმალური კომპრომისული შეთანხმების, მანამდე უნდა მოხდეს ეს, მერე შეიძლება გვიანი იყოს. არ გვინდა აშლილობები, არეულობები, შეთანხმება უნდა იყოს და საგზაო რუკა შედგეს, როგორ გამოვდივართ ამ პოლიტიკური კრიზისიდან. ერთ დღეში ვერ გამოვალთ ამ კრიზისიდან – არის შეთანხმება, შემდეგ მისი იმპლემენტაცია, შემდეგ კიდევ რაღაც ნაბიჯები უნდა გადავდგათ.

დახურულ კარს მიღმა არის ზეწოლაც, რჩევაც, პოზიციების გაცვლაც, გაცილებით უფრო ღიად, პირდაპირი ენით, ვიდრე საჯარო სივრცეში, სადაც უფრო დიპლომატიური ენაა. იმდენი ხანია, ამ ელჩებთან და ფასილიტატორ-მოდერატორებთან გვაქვს ურთიერთობა, რომ ნახევარი სიტყვით უკვე ვიცით, ვინ რას ფიქრობს და როგორ. რამდენიც ჩვენ მივდივართ არგუმენტებით, იმდენი უკუარგუმენტი გვხვდება, – განაცხადა ვაშაძემ.

„ბოიკოტი ზიანს აყენებს ქვეყანას, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯია“

– ეს უნდა იყოს ბოლო ბოიკოტი, როდესაც პარლამენტარები არ შედიან პარლამენტში.

ამის შესახებ „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისი განმარტებით, ის იზიარებს ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის განცხადების ლოგიკას, რომ „ბოიკოტი არ არის ის ფორმა, რომელიც უნდა დაინერგოს ამ ქვეყანაში“.

– ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ ბოიკოტი არ არის ის ფორმა, რომელიც კომფორტულია ქვეყნისთვის, ოპოზიციისთვის. ჩვენ, იმაზეც ვთანხმდებით, რომ ბოიკოტი, პირველ რიგში, ზიანს აყენებს ქვეყანას, ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ ეს ხომ იძულებითი ნაბიჯია. ვიოლა ფონ კრამონმა იცის, რომ მაგალითად „ლელო საქართველოსთვის“ პირველ რიგში მოწადინებულია, შედგეს პოლიტიკური შეთანხმება, ჩვენ შევიდეთ პარლამენტში და არ გაგრძელდეს ვითარების არანაირი ესკალაცია.

კრამონის განცხადებას აქვს აბსოლუტური ლოგიკა და ვეთანხმები, რომ ბოიკოტი არ არის ის ფორმა, რომელიც უნდა დაინერგოს ამ ქვეყანაში. ეს უნდა იყოს ბოლო ბოიკოტი, ვგულისხმობ, როდესაც პარლამენტარები არ შედიან პარლამენტში. ამის შემდგომ რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს იმგვარი სისტემითა და ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ და ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომ არანაირი კითხვის ნიშანი არ დატოვოს. ამიტომ ეს უნდა იყოს ბოლო პრეცედენტი ჩვენი ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში, როდესაც პარლამენტარები არ შედიან პარლამენტში, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მელიას გამოშვება ივანიშვილსა და მის მოურავ ხელისუფლებას მაინც მოუწევთ“

ლევან ხაბეიშვილი: „ხალხს ცვლილებები და კეთილდღეობა უნდა და არა ის, რომ ხაბეიშვილი ნახონ პარლამენტში!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, გუშინ ნიკა მელიას სასამართლო პროცესი იყო. მისი უამრავი მხარდამჭერი შეიკრიბა. ელოდნენ, რომ მელიას გაათავისუფლებდნენ, თუმცა პროცესი 13 აპრილამდე გადაიდო. რას ფიქრობთ, რატომ გადაიდო პროცესი?

– ნიკა მელიას დაკავების პროცესიც აბსოლუტურად პოლიტიკური იყო. მე რომ არ დავიწყო ამაზე საუბარი, ირაკლი კობახიძემ ტელევიზიით, პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ ნიკა მელიას დაკავება-არდაკავების საკითხს პოლიტსაბჭო განიხილავდა. ამის შემდეგ კი ვნახეთ, რომ სასამართლო პროცესის დასრულებამდე შსს-ს სპეცრაზმი უკვე მობილიზებული იყო. ეს რომ სამართლებრივი გადაწყვეტილება არ ყოფილა, ყველასთვის ცხადია, ხოლო ვისაც უნდა, რომ ნაცარი დაიყაროს თავზე, მისი ნებაა და, როგორც უნდა, ისე აღიქვამს ამ პროცესს. დღევანდელი პროცესიც პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან. ჩვენ სამართლებრივ სივრცეში არა ვართ და დამოკიდებული ვართ იმაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ბიძინა ივანიშვილი და მისი მოურავი ხელისუფლება.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი არაფერ შუაშია, ევროპამ მოითხოვა, გამოუშვან ნიკა მელიაო. ასეა?

– მარტო ევროპა კი არა, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არაერთი განცხადება გაკეთდა. ამ ფაქტს სრული სისულელე და სიგიჟე უწოდეს. რა ბრალდებით დააკავეს? ქვეყანა ოკუპირებულია და ანტისაოკუპაციო აქციაზე აქტიურობის გამო აკავებენ ოპოზიციონერ ლიდერს. რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე ჩვენ ველოდებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. გუშინაც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, რომ არ გაათავისუფლეს და, როცა გაათავისუფლებენ, ესეც პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება.

– რატომ არ დაასწრეს გუშინდელ პროცესს ნიკა მელია?

– როგორც ვიცი, ნიკა მელიას პროცესი ხომ დაატოვებინეს თავის დროზე და დღეს დააკმაყოფილა მოსამართლემ, რომ შემდეგ პროცესზე ნიკა მელია დაესწროს. ის გაძევებული იყო სასამართლო პროცესიდან. შეიძლება, თქვენი მკითხველი ვერ აღიქვამს და ფიქრობს, რა შუაშია ჩემს გაჭირვებასთან ნიკა მელიაო?! ან ზეთი რომ 8 ლარი გახდა, რა შუაშია, ნიკა მელია იქნება თუ არა პატიმარი?! ან 18– თეთრიანი კვერცხი რომ 35 თეთრი გახდა და 1,5-ლარიანი წიწიბურა – 4 ლარი. ყველამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ უსამართლო ქვეყანაში ნორმალური ეკონომიკა ვერ იქნება. იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს არჩევანის უფლება აქვთ ჩამორთმეული, სადაც განსხვავებული აზრის გამო დევნიან ადამიანებს, სადაც განსხვავებული პოზიციების გამო საქმეებს კერავენ, სადაც ასე შეუძლიათ, ადამიანები უსამართლოდ ციხეში ჩაყარონ, იქ ეკონომიკა ვერ იქნება. ვერ იქნება, რომ ასეთ ქვეყანაში დოვლათი შეიქმნას და მერე ის ადამიანებამდე მივიდეს. ჩვენთან მხოლოდ ჩინოვნიკები მდიდრდებიან, ხალხი კი ღარიბდება.

– ნიკა მელიას საქმეზე პროკურატურა აცხადებს, ჩვენი პოზიცია იგივეა, თუ გადაიხდის ნიკა მელია გირაოს, გამოვუშვებთო. ნიკა მელიას პოზიცია ცნობილია. ის გადახდას არ აპირებს. ამ შემთხვევაში რა ხდება? შესაძლოა, სასამართლომ მაინც გამოუშვას?

– სამართლებრივად ეს არის ტყუილი, როცა პროკურატურა ამბობს, რომ ნიკა მელიას ნებისმიერ დროს შეუძლია გადაიხადოს გირაო. ამ შემთხვევაში პროკურატურა სამართლებრივ განცხადებას კი არ აკეთებს, არამედ – პოლიტიკურს. მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს. ის გირაო უკვე განხილულია. იქ რომ მელიამ არ გადაიხადა, სწორედ ამის გამო ზის დღეს ციხეში. დღეს ისინი პოლიტიკურად სპეკულირებენ, რომ თურმე თუ გადაიხდის, გაათავისუფლებენ. მელია გადახდას არ აპირებს.

– დანიელსონთან შეხვედრების შემდეგ „ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, კანონის შეცვლასაც კი ვაპირებდით მელიას გამოო, ანუ მზად არიან, რომ გამოუშვან?

– ანუ ისინიც ადასტურებენ, რომ ამწუთას კანონიერად არ შეიძლება გირაოს გადახდა, სრული სიგიჟეა. პროკურატურა რომ ამბობს, ნებისმიერ დროს შეუძლია მელიას გირაოს გადახდაო, ასე არ არის. კანონი რომ უნდა შეეცვალათ, ესეც თავად თქვეს. ყოველ შემთხვევაში, მელია თანხის გადახდას ისეც არ აპირებს. ყველასთვის ცხადია მისი პრინციპული პოზიცია. ამიტომ ხელისუფლებასა და სასამართლოს ისევ პოლიტიკური გადაწყვეტილება აქვთ მისაღები.

– ეს იყო დანიელსონთან მოლაპარაკებისას დადებული პირობა და ახლა ამას ასრულებენ?

– ვერ გეტყვით, ნამდვილად არ მიყვარს ჭორაობა. არაადეკვატური ხელისუფლებაა, მათი გადაწყვეტილების გამოცნობა ძალიან რთულია. მე არ მესმის მათი. რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ ბიძინა ივანიშვილის მოურავები, ძნელი სათქმელია.

– ხელისუფლებამ, შესაძლოა, უთხრას ევროპას, აი, ჩვენ გამოვუშვით ნიკა მელია და ახლა ჯერი ოპოზიციაზეაო. ამ შემთხვევაში რა ხდება, შედიხართ?

– რა სისულელეა, რა თქმა უნდა, არსად შესვლას არ ვაპირებთ. ნიკა მელიასაც ეს პოზიცია აქვს. კრიზისი დაიწყო არჩევნების გაყალბების შემდეგ. რომ არ შევედით პარლამენტში, იმიტომ დაიჭირეს მელია. პარლამენტში რომ ყოფილიყო მელია, კი აღარ დაიჭერდნენ, ხმასაც არავინ ამოიღებდა. პარლამენტში რომ არ შევედით, სწორედ ამის გამო სჯიან მელიას და ამიტომ დააკავეს.

„შეიძლება, თქვენმა მკითხველმა თქვას, რა შუაშია ჩემს გაჭირვებასთან ნიკა მელიაო?! ან ზეთი რომ 8 ლარი გახდა, რა შუაშია, ნიკა მელია იქნება თუ არა პატიმარი?! ან 18-თეთრიანი კვერცხი რომ 35 თეთრი გახდა და 1,5-ლარიანი წიწიბურა – 4 ლარი?! ყველამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ უსამართლო ქვეყანაში ნორმალური ეკონომიკა ვერ იქნება“

– იმასაც ამბობენ, რომ მელიას აწყობს ციხეში ჯდომა. ამაზე რას იტყვით?

– ამაზე სერიოზული კომენტარი როგორ უნდა გავაკეთო, არ ვიცი. წარმოიდგინეთ, აბა, როგორია ციხეში ჯდომა თუნდაც რამდენიმე საათი. რას ნიშნავს, აწყობს? ადამიანის ჯანმრთელობას ეხება აქ საქმე, მის ნერვებს, ოჯახი ჰყავს და, როგორ შეიძლება, ეს აწყობდეს?! იმას, ვინც ამას ამბობს, სერიოზული პრობლემები აქვს.

– რას ელით?

– მე ერთადერთ რამეს ველი, მათ მელიას გამოშვება აუცილებლად მოუწევთ! ასევე მოუწევთ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. მათ უნდათ თუ არ უნდათ, ეს მოუწევთ. ოპოზიცია არის პრინციპული, ეს პოზიცია არ გადაიხედება და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი სხვაგვარად ვერ განიმუხტება. ჩვენი პარლამენტში შესვლით რა შეიცვლება?! რაღაცა უნდა დათმოს ოპოზიციამო და რა უნდა დავთმოთ, შევიდეთ პარლამენტში და ხუთიათასლარიანი ხელფასები დაგვერიცხოს? ჩემს კეთილდღეობას რომ მოვიწყობ, რა, ეს არის დათმობა?! ჩვენი პარლამენტში შესვლით რა ხდება, ეკონომიკა ჯანსაღდება თუ ინვესტიციები შემოდის?! ჩვენ ვიყოთ მაძღრები და ხალხი მშიერი? ეს არის დათმობა?! იდეაში ხომ ამას გვთხოვენ.

– ამბობენ, რომ ოპოზიციაში აღარ არის ერთიანობა. თუკი მელიას გამოუშვებენ, გირჩი და გიორგი ვაშაძე პარლამენტში შევლენო. ამაზე რას იტყვით?

– მართლა აღარ არის ეს სალაპარაკო თემა. ამდენი თვეა გაიძახიან, ოპოზიციაში ერთსულოვნება არა არისო. სირცხვილია. ამდენი თვეა, ამას გაიძახიან, აი, ვიღაცა აპირებს შესვლასო... ვისაც უნდა, ის შევიდეს. ეს ხომ პარლამენტში კი არა, „ქართულ ოცნებაში“ შესვლას ნიშნავს, ფრიდონ ინჯიასთან და კიდევ ვიღაც-ვიღაცებთან. ვისაც უნდა იმ პარლამენტში ჯდომა და პირადი კეთილდღეობის მოპოვება, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

– ანუ რომც გამოუშვან მელია, თქვენი ბოლო პასუხია ვადამდელი არჩევნები?

– რა თქმა უნდა, ასეა! მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც განცხადება დავწერე და ვთქვი, რომ ეს მანდატი არ მჭირდება. ხალხს ცვლილებები და კეთილდღეობა უნდა და არა ის, რომ ხაბეიშვილი ნახონ პარლამენტში!

„საქართველოში ხელისუფლება ანტივაქსერია“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლებას 200-მდე ჰესის მშენებლობა აქვს ჩაფიქრებული“

ნათია ხურცილავა

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ნიკა მელიას სასამართლო პროცესი 13 აპრილამდე გადაიდო. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ ხელისუფლებას არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, რა ქნას, დატოვოს მელია ციხეში თუ გამოუშვას. თქვენც ასე ფიქრობთ?

– დიახ, ივანიშვილი არ არის ჩამოყალიბებული, დატოვოს ნიკა მელია ციხეში თუ გამოუშვას. ცხადია, მისი სურვილია, ციხეში ჰყავდეს მელიაც, რურუაც, წულაიაც, ჩხარტიშვილიც და ყველა კრიტიკული ადამიანიც, მაგრამ ისე არ არის, როგორც ივანიშვილი ოცნებობს. დღეს პოლიტპატიმრებით სავსე ქვეყანაზე ოცნება ასე მარტივად აღსასრულებელი არ არის. ამას თუნდაც ევროკავშირისა თუ სენატის ბოლო განცხადებები ადასტურებს, რომლებიც დახმარებების შეჩერებასა თუ გადავადებაზე, სანქციებზე ალაპარაკდნენ.

თუ არ გაათავისუფლებს პოლიტპატიმრებს, არ შეწყვეტს პოლიტიკურ რეპრესიებს, არ გადადგამს სამართლიანი სასამართლოსკენ ნაბიჯს, მერწმუნეთ, ივანიშვილი პირადად იქნება სანქცირებული. სანქცირებული იქნება გარედან, შიგნიდან კი – აქცირებული. თუმცა მე არ მჯერა მისი კეთილი ნების. ის ბოლომდე იჭიდავებს, კვლავ ეცდება „გადაგდებას“, მოტყუებას, ჩაეჭიდება კორონავირუსს და ეცდება, ბოლო წუთამდე შეინარჩუნოს ძალაუფლება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, არ გამოუვა.



– გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება, რეგულაციები გამკაცრდეს. 15 მაისის აქცია კვლავ ძალაშია?

– დიახ, 15 მაისის აქცია, დღეის მდგომარეობით, ძალაშია.

– შეიძლება, ნაკლები წარმომადგენლობით ჩატარდეს, რაც აწყობს კიდეც ხელისუფლებას?

– ჩვენ მზადებას ვაგრძელებთ, რეგიონებში აქტიურად გავდივართ. ეს აქცია არის ერთ-ერთი გადამწყვეტი. ჩვენ ამ აქციით უნდა დავუმტკიცოთ ამერიკასაც, ევროპასაც, ივანიშვილსაც და საკუთარ თავსაც, რომ არ ვაპირებთ, მონობას შევეგუოთ. ამიტომ უნდა ჩავატაროთ მასშტაბური აქცია, სადაც ხალხი ხელისუფლებას ეტყვის, რომ ისინი უნდა წავიდნენ და უნდა მოვიდეს მრავალკოალიციური ახალი მთავრობა.

ივანიშვილის რეჟიმი აგრძელებს ტოტალურ კოვიდ-მსხვერპლშეწირვას. 4 ათასამდე ადამიანია გარდაცვლილი. აქედან დაახლოებით 3 ათასი ადამიანის გადარჩენა შესაძლებელი იყო გონივრული პოლიტიკის გატარებით. პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ხდება გახსნა-ჩაკეტვა და არა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით. ან ტოტალურად ყველაფერი ჩაკეტილია, ან ტოტალურად ყველაფერი გახსნილია. არანაირი კონტროლი არ ტარდება რეგულაციების დაცვაზე. ყველა ხედავს, ტრანსპორტში რაც ხდება. რა ხდება მეტროში, ავტობუსში, ამას კრიტიკა ვერ უძლებს. იმის ნაცვლად, რომ ავტობუსებს დაემატოს რეისები, დამონტაჟდეს ყველა მეტროს ვაგონში, მეტრო-სადგურების შესასვლელ გამოსასვლელებში, თვითონ ავტობუსებში, გაჩერებებზე სადეზინფექციო ხსნარები, უფრო მეტი შესაძლებლობა იყოს განიავების, ისევ უნდა აიკრძალოს ტრანსპორტი და, როგორც ამირან გამყრელიძემ გვითხრა, თურმე ფეხით უნდა ვიაროთ. მე კი დავდივარ ფეხით, მაგრამ ხანშიშესული ადამიანი რამდენს გაივლის ფეხით?!

რატომ არ კონტროლდება თუნდაც რიგები მაღაზიებში, მაგალითად, კარფურში, სადაც ადამიანების ტევა არ არის, ან რატომ არ კონტროლდება პირბადეების ტარებისა თუ ადეკვატურად მოხმარების წესი?! ამ ყველაფრის უგულებელყოფა, ცხადია, დაინფიცირებულთა მაჩვენებლების ზრდას იწვევს. ბუნებრივია, მერე ამას ჩაკეტვა მოჰყვება და ასე ვართ ლოკდაუნიდან ლოკდაუნამდე, რასაც მშვენივრად იყენებს ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ადამიანების სიცოცხლის რისკის ფასად. ამიტომ „ქართული ოცნება“ სხვა ფიქრის შესაძლებლობას არ გიტოვებს, გარდა იმისა, რომ მისი მიზანია, მაქსიმალურად გაახანგრძლივოს ეპიდემია. ასეთია კორონადიქტატურის ფორმულა იმ ფონზე, როდესაც არაფერი კეთდება ვაქცინაციისთვის, მისი პოპულარიზაციისთვის. პირიქით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მთავარ ანტივაქსერად გადაიქცა. ასე მივდივართ მესამე ლოკდაუნამდე.

– გვითხრეს, რომ გადადების წყარო ძირითადად სუფრებია.

– ამ სუფრებს თვითონ აწყობენ. ეს ხელისუფლება ხან პოზნერს აქეიფებს, ხან თვითონ ქეიფობს და ამას ვის ეუბნებიან?! იმ არაგონივრულ რეგულაციებზე დაფიქრდნენ, მაგალითად, კომენდანტის საათზე, რომელიც იწვევს საღამოს საათებში ტრანსპორტის გადატვირთვას. ერთი მხრივ, გვაქვს კოვიდმართვის ეს რეალობა და, მეორე მხრივ, გვაქვს სრული ბლოკადა, ნამახვანჰესის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ვგულისხმობ, როდესაც რიონის ხეობა ჩაკეტილია.

ხელისუფლებას 200-მდე ჰესის მშენებლობა აქვს ჩაფიქრებული, არნახული მასშტაბის სამხედრო ოპერაციით იბრძვის ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. რიონის ხეობაში, შეიძლება ითქვას, ქვეყნის კონსტიტუცია გაუქმებულია. ხელისუფლებამ პასუხი გაგვცეს, რა ოპერაციასთან გვაქვს საქმე და რა უფლებით ეზღუდებათ ადამიანებს გადაადგილების, გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრების უფლება?!

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„პოზნერის შემოშვება კანონის დარღვევა იყო. რუს ტურისტს არავინ დევნის“

თამარ ჩხეიძე: „დევნილებისა და აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა საქართველოს ხელისუფლებას არ ადარდებს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო შეძრა ენგურში დამხრჩვალი ადამიანების ხვედრმა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ თამარ ჩხეიძეს.

„ლოკდაუნს ხელისუფლება თავისთვის იყენებს“

– ამ ხალხის დაღუპვაში რომ ოკუპანტის წვლილია, ეს გასაგებია. არ შეიძლება, საქართველოს ხელისუფლებამ ისე მოაწესრიგოს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ყოფა, რომ ისინი ასე ტრაგიკულად არ იხოცებოდნენ?

– ხელისუფლებას ეს ევალება, მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ის არ წუხს არც აფხაზეთში დარჩენილებზე, არც დევნილებზე და არც მთელ მოსახლეობაზე. ხელისუფლებამ ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულებისთვის დააწესა 5-დღიანი კარანტინი. მანამდე უფრო ხანგრძლივი კარანტინი არსებობდა. ეს არის დიდი დაბრკოლება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ენგურზე წამლისთვის, ექიმისა და სურსათისთვის გადმოდიან. ტერიტორიულ მთლიანობაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ფაქტობრივად ხმას არ იღებენ. არადა, ამაზე დიდი ხმაური უნდა იყოს ატეხილი საერთაშორისო დონეზე. გახელაძის ფაქტი ავიღოთ. დანაშაულის ფაქტზე გამოიჭირეს რუსი ოკუპანტები. იმის მაგივრად, რომ ეს ფაქტი გამოეყენებინათ და მძევლები გადაეცვალათ, ისინი უმტკივნეულოდ მიაცილეს.

– სოციალურ ქსელში აფხაზეთიდან დევნილები დიდ საყვედურს გამოთქვამენ თბილისში მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართ, ამბობენ, რომ ეს მთავრობა მაღალი ხელფასების აღების გარდა არაფერს აკეთებს.

– იმ მთავრობას, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელი ჰქვია, გაცილებით მეტი მოეთხოვება. ეს სტრუქტურები საერთოდ არ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. მათი დანიშნულება საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურობაც უნდა იყოს. ყველას გვახსოვს, როგორი აქტიური იყო თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც მოულოდნელად და, ვიტყოდი, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. აფხაზეთის ახლანდელი დევნილი სტრუქტურები საერთოდ კრინტს არ ძრავენ. ისინი არც დევნილების პრობლემებს წყვეტენ. ცენტრალურ ხელისუფლებას ეს აწყობს, იმიტომ რომ თვითონაც ამ პოლიტიკას ატარებს.

– პოლიტიკური კრიზისი გრძელდება. დღეს რის თქმა შეიძლება ამ კრიზისზე?

– ოპოზიცია უფრო აქტიური უნდა იყოს, პირველ რიგში, დასავლეთთან მუშაობის მიმართულებით. ამ მხრივ ოპოზიციონერები ხელს აკლებენ. რატომღაც არ არის საუბარი იმაზე, რომ საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა. არ ვიცი, რატომ ჰგონიათ, რომ ეს ჩავლილი ამბავია. შეიძლება, არ ფლობდე გაყალბების ზუსტ მონაცემებს ქვეყნის მთელი მასშტაბით, მაგრამ არსებული მონაცემები საკმარისია დოკუმენტაციის წარმოსადგენად. საუბარია იმაზე, რომ ევროკავშირმა შეიძლება დააწესოს სანქციები საქართველოს წინააღმდეგ. უნდა იყოს იმის მცდელობა, რომ სანქციები ქვეყანასა და ხალხს კი არა, ივანიშვილს, მის გარემოცვას, დამნაშავე ჩინოსნებსა და მოსამართლეებს შეეხოს. ხელისუფლება ფინანსური დახმარების დიდ ნაწილს საკუთარ საჭიროებას ახმარს, მაგრამ ნაწილი ხომ ხალხს ხმარდება! ქვეყანა კი არ უნდა დაზიანდეს, სანქციებით დისკომფორტი უნდა შეექმნათ კონკრეტულ პირებს. ქვეყანას რომ სანქციებით რამე დააკლდეს, მმართველი გუნდი სულ არ შეწუხდება, პირიქით, ქვეყნის დაზიანებით ის პირნათლად შეასრულებს რუსეთის ამოცანებს.

– რუსეთი და უკრაინა იმყოფებიან ფართომასშტაბიანი ომის ზღვარზე. ისეთი სიტუაცია ხომ არ შეიქმნა, რომ ყველამ გულწრფელად და ბოლომდე გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება პროცესების მიმართ?

– რასაკვირველია. საქართველოს ხელისუფლების დუმილი სამარცხვინოა. ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი ამბობს, რომ 2008 წელს, იმ საომარ ვითარებაში, ის იმყოფებოდა საქართველოში. მან სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეს საქართველო მოვალეა, მხარი დაუჭიროს უკრაინას. საქართველოს ხელისუფლება არ იმჩნევს იმას, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის ხდება. ამ ხელისუფლებისაგან ეს არ მიკვირს. მენტალურად ის ყოველთვის რუსეთის მხარეზეა. საქართველოს ეკონომიკის ნგრევაც შედის რუსეთის ინტერესში. ახლა რომ მესამე ლოკდაუნის შემოღება უნდათ, ეს არის პირდაპირი დივერსია.

– თქვენ წინა ლოკდაუნებსაც აკრიტიკებდით.

– ამ ყველაფერს არაფერი აქვს საერთო ჯანმრთელობის დაცვასა და ადამიანების გადარჩენასთან. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამოსწორებას სჭირდება სამედიცინო, სანიტარიული მეთოდები და არა ეკონომიკის დანგრევა და პოლიტიკის ჩარევა. სანიტარიული ნორმების გარდა, უნდა გააძლიერო და მზადყოფნაში მოიყვანო ჯანდაცვის მთელი სისტემა, შეიძინო ხარისხიანი ვაქცინა.

– ფიქრობთ, რომ საქართველო ხარისხიან ვაქცინებს არ ყიდულობს?

– შემოიტანეს ჯერ კიდევ შეუმოწმებელი და არანებადართული ჩინური ვაქცინა. არ იზრუნეს, რომ ფაიზერის ვაქცინით მოემარაგებინათ მოსახლეობა. ვიცი, რომ ფაიზერს ენდობიან ადამიანები და მზად არიან აცრისათვის. ისე იქცევიან, რომ მოსახლეობის 60% არ აიცრას და ისევ ლოკდაუნი იყოს.

– რისთვის?

– ეკონომიკის საბოლოოდ განადგურებისა და პოლიტიკური პროტესტის ჩახშობისათვის. მსხვერპლის თუ ეშინიათ, ამ ლოკდაუნით მეტი ადამიანი იხოცება. ყოფილა შემთხვევები, როცა კლინიკების გადატვირთულობის გამო სამედიცინო დახმარება ვერ აღმოუჩენიათ. ასე ორი ბავშვი დაიღუპა. ერთს დიაბეტი ჰქონდა. კლინიკების გადატვირთულობა გამოიწვია შეგნებულად დათესილმა პანიკამ. პანიკის გაღვივება ერთი წლის წინ დაიწყეს. მას შემდეგ ზოგი შიმშილით იხოცება, ზოგს ბიზნესის გაკოტრების გამო გული უსკდება, ზოგი უფულობის მიზეზით წამალს ვერ ყიდულობს. ხალხი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, სურსათს ვერ ყიდულობს. მსყიდველობითი უნარი შემცირებულია. კომენდანტის საათიც ხელს უშლის ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირებას. აქ მნიშვნელოვანია მოსახლეობის პოზიცია.

– კომენდანტის საათის გამო იყო პროტესტი.

– ბოლო აქცია ამ საკითხზე მრავალრიცხოვანი იყო. იგრძნობოდა თავისუფლების სულისკვეთება. ამაზე სამჯერ მრავალრიცხოვან აქციას რომ ნახავს ხელისუფლება, გადახედავს თავის მავნებლურ გადაწყვეტილებებს. პოზნერის წინააღმდეგ გამართულ აქციაზეც დადებითი აზრის ვარ. აქ არ ყოფილა ძალადობა. სამაგიეროდ, იყო პასუხი პოზნერის საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებებზე. ის ამბობს, რომ აფხაზეთი არასდროს ყოფილა საქართველო და არც იქნება. საქართველოს ხელისუფლების მლიქვნელურმა გამოხმაურებამ ამაზე დაადასტურა, რომ ის ყველაფერში რუსეთის მიმდევარია. პოზნერის შემოშვება ნიშნავს კანონის დარღვევას. აფხაზეთშიც რომ არ იყოს ნამყოფი, მაინც დარღვეული ექნებოდა კანონი. ის უქმნის საფრთხეს ქვეყანას. პროვოკატორებმა ატეხეს ხმაური იმაზე, თითქოს საქართველოში რუს ტურისტებს დევნიან. ეს სრული სიცრუეა. არასდროს საქართველოში არავის შეუვიწროებია რუსი ტურისტები. პოზნერის წინააღმდეგ გამართული აქცია იყო პასუხი ოკუპაციასა და ოკუპაციის პროპაგანდისტების სიტყვებზე. ეს აქცია წარმატებულია იმიტომ, რომ ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, პროპაგანდისტებს კი პასუხი გაეცათ.

პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები ვენეციის კომისიას გაუგზავნა

პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები საბოლოო რევიზიისთვის ვენეციის კომისიას გაუგზავნა.

– ორი წლის წინ ეს რეგულაციები ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო სტანდარტის მიხედვით შევიმუშავეთ. ახლა კი პარლამენტმა ის ცვლილებები მიიღო, რომლებშიც აისახა ვენეციის კომისიის სამი დამატებითი რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან კანონის ახალი რეგულაციების თანხვედრა მარტივად დასადგენია, ჩვენი პარტნიორების მოწოდება გავითვალისწინეთ და კანონი საბოლოო რევიზიისთვის ვენეციის კომისიას უკვე გადავუგზავნეთ, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით სოციალურ ქსელშიც წერს და, როგორც აცხადებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მათ შორის ადგენს „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევისა ღია და გამჭვირვალე წესს, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო სტანდარტს შეესაბამება და რიგ შემთხვევაში უფრო ამომწურავადაც არეგულირებს ამ მნიშვნელოვან პროცესს“.

– ამასთან, ერთი კვირის წინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ორგანულ კანონში, რომელშიც აისახა ვენეციის კომისიის სამი დამატებითი რეკომენდაცია პროცედურასთან დაკავშირებით: 1. ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, პროცედურა უნდა ყოფილიყო სრულად ღია და საჯარო. ეს რეკომენდაცია სრულად აისახა ორგანულ კანონში. კერძოდ, ახალი ნორმების თანახმად, მყისიერად გამოქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის ყველა შეფასება და გადაწყვეტილება თითოეულ კანდიდატთან მიმართებით, საბჭოს შესაბამისი წევრების ვინაობის მითითებით; 2. ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, კანდიდატებს უნდა მინიჭებოდათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ორჯერ გასაჩივრების შესაძლებლობა. ახალი ნორმების თანახმად, კანდიდატმა განმეორებით შეიძლება გასაჩივროს როგორც საბჭოს წევრების მიერ დაწერილი ქულები, ისე საბოლოო გადაწყვეტილება წარდგენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვენეციის კომისიის აღნიშნული რეკომენდაციაც ზედმიწევნით არის გათვალისწინებული; 3. ბოლოს, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ მკაცრად უნდა შეესატყვისებოდეს მის მიერ მიღებულ ქულებს. ორგანულ კანონში აღნიშნული რეკომენდაციაც სრულად აისახა.

კერძოდ, ახალი ნორმები პროცედურის ყველა ეტაპზე სრულად გამორიცხავს უპირატესობის მინიჭებას შედარებით დაბალქულიანი კანდიდატისთვის შედარებით მაღალქულიან კანდიდატთან მიმართებით. კანონპროექტის საკომიტეტო განხილვას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც კანონპროექტის მიმართ არსებითი შენიშვნები არ გამოუთქვამთ, – განაცხადა თალაკვაძემ.

55 წელს ქვემოთ მყოფ პირებს ასტრაზენეკას მეორე დოზით აცრის რეკომენდაციას ჯერჯერობით აძლევენ

ალერგოლოგ-იმუნოლოგ ბიძინა კულუმბეგოვის განცხადებით, მსოფლიოში მსჯელობის საკითხია, თუ რა უნდა გააკეთონ 55 წლის ქვემოთ მყოფმა პირებმა, რომლებიც ასტრაზენეკას ვაქცინის პირველი დოზით უკვე აიცრნენ.

როგორც კულუმბეგოვი განმარტავს, 55 წელს ქვემოთ მყოფ პირებს მეორე დოზით აცრის რეკომენდაციას ჯერჯერობით აძლევენ, თუმცა, თუკი ახალი გარემოება გამოვლინდება, ისინი გადაწყვეტილებას გადახედავენ.

– ეს მთელ მსოფლიოში მსჯელობის საგანია, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, ჩვენც ვიმსჯელეთ ამ საკითხზე. მაგალითად, გერმანიაში ასტრაზენეკას პირველი დოზით 2.700.000 ადამიანია აცრილი, გერმანიის სახელმწიფო ამბობს, რამდენიმე კვირაში მივიღებთ გადაწყვეტილებას ამ ადამიანების იმავე ან სხვა ვაქცინით აცრასთან დაკავშირებითო.

ბრიტანეთმა მიიღო გადაწყვეტილება, რადგან მეორე დოზაზე არავითარი გართულება არ უნახავთ, რეკომენდაცია ისევ ასტრაზენეკას ვაქცინით აცრას გაუწიონ. ჩვენთან ჯერჯერობით არ არის დიდი რაოდენობით ადამიანი აცრილი 55 წლის ასაკის ქვემოთ, ჯერჯერობით ვუწევთ ამ რეკომენდაციას, თუმცა, თუ რამე შეიცვალა, ახალი გარემოება და სამედიცინო არგუმენტაცია გაჩნდება, ეს გადაწყვეტილება გადაიხედება, ჯერ 15 მაისამდე მეორე დოზა არავის უწევს, – განაცხადა კულუმბეგოვმა.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, მეორე ჯერზე განსხვავებული ვაქცინა გაკეთდეს, კულუმბეგოვი პასუხობს, რომ „ჯერჯერობით ესეც კვლევის თემაა“.

– პრეცედენტი, რომ განსხვავებული ვაქცინით მეორე დოზაზე აცრილიყო ვინმე, მსოფლიოში არ არის, თუმცა ეს საკითხიც განიხილება და კვლევის საფუძველია. შესაძლებელია, მეორე დოზის გაკეთების შემთხვევაში, უბრალოდ, ის მეორე დოზა სრულფასოვნად გახდეს გასაკეთებელი, ანუ ორივე დოზა. ეს საკითხები კვლევის პროცესშია და აუცილებლად დაზუსტდება, – განაცხადა კულუმბეგოვმა.

კოვიდის 51 შემთხვევა აბაშაში

2 სოფელში პოლიციის მკაცრი კონტროლი დაწესდა

ბოლო დღეების განმავლობაში აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანსა და ტყვირში 51 კოვიდდადებითი შემთხვევა გამოვლინდა, რის გამოც სოფელში პოლიციის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ჯანდაცვის უწყებების მკაცრი კონტროლი ხორციელდება.

ადგილზე არსებულ ვითარებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია აბაშის მერ ლევან მაკალათიასთან ერთად გაეცნო და ეპიდემიოლოგებისგან არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია მოისმინა.

სოფლებში შეწყვეტილია სასწავლო პროცესი. გამოკვლეულია კოვიდდადებითი მოქალაქეების კონტაქტები. მათი ნაწილი 8 აპრილს გაიტესტა.

პროცესი გრძელდება.

აფგან მუხთარლის გამოკითხვა ვერ შედგა

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლისა და მისი ადვოკატის არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 8 აპრილს მუხთარლის გამოკითხვა ვერ შედგა.

როგორც მუხთარლიმ უწყებიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, გამოკითხვისას აზერბაიჯანულენოვანი თარჯიმანი არ იმყოფებოდა.

– პროკურატურამ ვერ იპოვა თარჯიმანი, რის გამოც არავითარი კითხვა არ ყოფილა. პირველ ჯერზე, თურქულენოვანი თარჯიმანი იყო, რომელზეც უარი განვაცხადე. დაახლოებით 1,5 საათში სხვა თარჯიმანი მოვიდა და როცა საუბარი დაიწყო, მესმოდა, რომ აზერბაიჯანული ენა არც მან იცოდა. ამიტომ, დღეს არაფერი მომხდარა. ამბობენ, რომ ხვალ ახალ აზერბაიჯანულენოვან თარჯიმანს იპოვიან. დაველოდოთ ხვალინდელ დღეს და ვნახოთ, რა მოხდება. დღეს დაახლოებით 4 საათი ვისხედით და ველოდებოდით, – განაცხადა აფგან მუხთარლიმ.

როგორც მისმა ადვოკატმა, არჩილ ჩოფიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აფგან მუხთარლი მზად არის, თარჯიმნის უზრუნველყოფის შემთხვევაში, გამოძიებასთან ნებისმიერ დროს ითანამშრომლოს.

– ჩვენთვის ცნობილი გახდა ის, რომ გამოძიება აპირებს, საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატაროს. ყველა იმ წინადადებაზე განვაცხადეთ თანხმობა, რაც გამოძიებას ჰქონდა. მზად ვართ, გამოძიებასთან ვითანამშრომლოთ. ჩვენ დავაფიქსირეთ პოზიცია, რომ მაგალითად, ხვალ თუ იქნება უზრუნველყოფილი აზერბაიჯანული ენის თარჯიმანი, მზად ვართ, დილიდანვე გამოვცხადდეთ და მონაწილეობა მივიღოთ პროცესში, ასევე ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებაში ჩავერთოთ, რომელსაც გამოძიება აპირებს.



საგამოძიებო ექსპერიმენტი ან თუ რაიმე ნიმუშის აღება უნდათ, მაგალითად, დნმ-ის, აფგანი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს. აფგანი მზად არის, ყველანაირად ითანამშრომლოს გამოძიებასთან, ოღონდ იმ პირობებში, თუ თარჯიმანი უზრუნველყოფილი იქნება, – განაცხადა ადვოკატმა.

პროკურატურამ აფგან მუხთარლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მუხთარლის გამოკითხვის შუამდგომლობით მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, სამართლებრივი დახმარებისთვის გერმანიის შესაბამის სამსახურებს 2020 წლის 24 მარტს მიმართა. გენერალური პროკურატურის მიმართვის საფუძველზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე აფგან მუხთარლი გერმანიაში შესაბამისი სამსახურების მიერ 2020 წლის 24 ივლისს გამოიკითხა. დაკითხვის ოქმი და შესაბამისი მასალები გერმანიიდან საქართველოს პროკურატურაში 2020 წლის პირველ ოქტომბერს გამოიგზავნა და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) მიმდინარეობს.

მუხთარლი თბილისში 2017 წლის 29 მაისს გაუჩინარდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის აზერბაიჯანში იმყოფებოდა. აფგან მუხთარლის ბრალი სამი მუხლით – აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, კონტრაბანდისა და ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით ჰქონდა წაყენებული.

2018 წლის 12 იანვარს აზერბაიჯანულმა სასამართლომ აფგან მუხთარლის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა აზერბაიჯანის ციხიდან 1 წლის წინ გაათავისუფლეს. დარჩენილი წლები მას პირობითად ჩაეთვალა.

აფგან მუხთარლი 7 აპრილს თბილისში დაბრუნდა.

მეგი ბაქრაძის საქმეზე ბრალდებულებს 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდათ

გარდაცვლილი ექთანის მეგი ბაქრაძის საქმეზე ბრალდებულ ექიმებსა და ექთანს – ვიოლეტა ინასარიძეს, ბექა ლიპარტელიანსა და თეა გზირიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 3.000-3.000-ლარიანი გირაო შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატო ხუჯაძემ გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით თითოეულის შემთხვევაში 5.000-5.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას ითხოვდა. გირაოს გამოყენებას დაეთანხმა დაცვის მხარეც, ვიოლეტა ინასარიძისა და თეა გზირიშვილის ადვოკატმა ბრალდებულების მიმართ 3.000-3.000-ლარიანი გირაოს გამოყენება მოითხოვა, ბექა ლიპარტელიანის უფლებადამცველმა კი – მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება.

მეგი ბაქრაძის გარდაცვალების საქმეზე „ახალციხის კლინიკა იმედის“ 2 ექიმსა და ერთ ექთანს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინათ, რაც მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას გულისხმობს და რაც გამოიხატა გამოძიების დროს გამოსაკითხი პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, ჩადენილი სხვა პირადი მოტივით.

წარდგენილი ბრალდება 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიკა მელიას პროცესი 13 აპრილისთვის გადაიდო

მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის გადაწყვეტილებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ბრალდებული ნიკა მელია საკუთარ სასამართლო პროცესებზე დასწრებას შეძლებს. შესაბამისად, ნიკა მელიას სასამართლო პროცესი 13 აპრილს, 11:00 საათზე გადაინიშნა, რათა ბრალდებულმა დასწრება შეძლოს.

მელიას სასამართლოს სხდომათა დარბაზში დასწრების შუამდგომლობა ადვოკატებმა 8 აპრილის პროცესზე დააყენეს. როგორც ისინი შუამდგომლობაში განმარტავდნენ, ნიკა მელიასთვის საშუალება უნდა მიეცათ, რომ სასამართლო პროცესებს დასწრებოდა და უშუალოდ ყოფილიყო მართლმსაჯულების პროცესში ჩართული.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ნიკა მელიას საკუთარი საქმის განხილვისგან არ უნდა იქნეს ჩამოშორებული. ადვოკატების თქმით, ნიკა მელიას საქმის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ადვოკატების თქმით, მელიას საქმეზე შეფასებები საერთაშორისო დონეზე გაკეთდა.

დაცვის მხარის შუამდგომლობას ბრალდების მხარე დაეთანხმა, თუმცა, განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი პოლიტიკური ელფერის გამქაფრების ნაწილია. პროკურორის თქმით, საქმე სამართლებრივ სივრცეს უნდა დაუბრუნდეს.

პროცესზე ადვოკატებმა სხდომის პირდაპირი ეთერით ტრანსლირების შუამდგომლობაც დაყენეს, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. მოსამართლის განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებს გადაღებას და, შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელება არ იზღუდება.

საფრანგეთში გია სურამელაშვილის შვილი, ნუგზარი, დააკავეს

საფრანგეთში მომხდარი ხმაურიანი დაპირისპირების ფაქტზე ფრანგმა სამართალდამცავებმა გია სურამელაშვილის ვაჟი, ნუგზარ სურამელაშვილი დააკავეს.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა და სურამელაშვილი უკვე თავისუფალია. დაკავებულის მამას, ცნობილ ქართველ მომღერალ გია სურამელაშვილს იმედი აქვს, რომ სასამართლო საბოლოოდ მის ვაჟს გაამართლებს.

ის ასევე უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მისი ვაჟი ე.წ. ქურდული სამყაროს წევრია.

– ეს იყო ჩვეულებრივი გარჩევა, სადაც ჩემი შვილი შემთხვევით მოხვდა. იქ უბრალო ცემა-ტყეპა არ ყოფილა, ხალხი ხოცავდა ერთმანეთს.

როგორც თვითმხილველი, სწორედ ამიტომ დააკავეს ჩემი შვილი, ორი დღე იჯდა ციხეში და უკვე თავდებით გამოუშვეს. 19 აპრილს არის ჩანიშნული მეორე სასამართლო პროცესი, იმედი მაქვს, გაამართლებენ, მაგრამ არის საშიშროება, რადგან ტელეფონზე მესიჯები მომდის, მწერენ, შენი ქურდი შვილიო.

ნუგზარი ქურდი არაა, ის არის ქართველი ვაჟკაცი, „კაი ბიჭი“, რომელიც ლამაზად და კარგად ცხოვრობს, – აცხადებს გია სურამელაშვილი.

გია სურამელაშვილს ერთადერთი ვაჟი ჰყავს, რომელიც მეუღლემ მაია კვესელავამ გაშორების შემდეგ დაუტოვა.

როგორც გია ინტერვიუებში იხსენებს, მკაცრი და მზრუნველი მამა იყო.

რაც შეეხება თავად ნუგო სურამელაშვილს, ის პოპულარობას ყოველთვის ერიდებოდა, ერთადერთხელ გამოჩნდა სახალხოდ და „პრაიმშოუს“ მისცა ინტერვიუ.

– ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა. გია მკაცრი მამა იყო და მამა ალბათ ასეც უნდა იყოს შვილის მიმართ. ორი დღე ფულს არ მაძლევდა, როცა გაბრაზდებოდა. მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, ფილარმონიიდან მიპარავდნენ, – ამბობდა სურამელაშვილი ინტერვიუში.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.652 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1652 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 135 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1379 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 137 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით, განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

წყნეთში მამის მკვლელობისთვის 31 წლის დ.ფ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაბა წყნეთში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს. დაკავებულია 1989 წელს დაბადებული დ.ფ.

მას დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 აპრილს, დაბა წყნეთში, ოჯახური კონფლიქტის დროს, მამას – 1961 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს ცემისას სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა, რის შემდეგაც, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, სისხლის ღაქები გაწმინდა და სისხლიანი საოჯახო ნივთები გადამალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, დაშავებული მამაკაცი საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დ.ფ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დაბა წყნეთში დააკავეს.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ქუთაისი-თბილისის მიკროავტობუსი სამხედრო პოლიციის მანქანას დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 8 აპრილს ქუთაისში – საავტომობილო გზაზე მოძრავი ქვეითის გამო მიკროავტობუსმა დაამუხრუჭა, რის შედეგადაც 3 ავტომობილი დაზიანდა.

დაზიანებულებს შორის სამხედრო პოლიციის ავტომობილია, რომელშიც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ისხდნენ. ასევე დაზიანებულია სამგზავრო მიკროავტობუსი, რომელსაც მგზავრები ქუთაისიდან თბილისში მიჰყავდა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა ერთი ქალი, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

რუსთავში ახალგაზრდა ქალი ბინაში უგონოდ ნახეს

რუსთავში ახალგაზრდა ქალი ბინაში უგონო მდგომარეობაში ნახეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 25 წლამდე ქალი საკაძის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში ბუნებრივი აირის ნამწვით მოიწამლა. ადგილზე გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი. ახალგაზრდა ქალი მალევე გადაიყვანეს ცენტრალურ საავადმყოფოში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც „ინფო რუსთავს“ ერთ-ერთმა მეზობელმა განუცხადა, ბინაში ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები, ხელოსანს კი, სავარაუდოდ, დაავიწყდა გაზის მილის წყლის გამაცხელებელზე მიერთება, საიდანაც ბუნებრივი აირის გაჟონვა მოხდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

დაიწყება თუ არა რუსეთ-უკრაინის დიდი ომი?!

დონბასში შეტაკებები არ ცხრება. გაწყვეტელი შეტაკებების ფონზე რუსეთ– უკრაინის საზღვრის მთელ მონაკვეთზე რუსული არმიის კონცენტრაცია გრძელდება. საზღვარზე უკვე 28 ოპერატიულ-ტაქტიკური ბატალიონია დისლოცირებული. უახლოეს დღეებში კიდევ 25-ის შემოყვანას მოელიან. რუსეთიდან ინტენსიურად შემოედინება სამხედრო ტექნიკა, იარაღი, შემოდიან ე.წ. მოხალისენი, ჯარისკაცები და ოფიცრები.

პარალელურად რუსეთის ტერიტორიაზე უკრაინის მახლობლად დაიწყო რაკეტების განთავსება. როსტოვის მახლობლად განალაგეს ტორნადოს ტიპის რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ, 100 კილომეტრის მანძილზე მისწვდნენ მიზანს.

რუსული არმიის უკრაინაში შეჭრისთვის ყველაფერი მზად არის.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა, ბრიტანეთის პრემიერმა ჯონსომა და ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა უკრაინისადმი მხარდაჭერა ცალსახად დააფიქსირეს. კიევის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა და გაერთიანებული შტაბების უფროსმა გენერალმა მილმა.

ამან რუსების საომარი შემართება ერთგვარად დააცხრო. სუკის პოლკოვნიკი და ვაშინგტონში საბჭოთა დაზვერვის ყოფილი რეზიდენტი იური შვეცი ფიქრობს, რომ რუსების ფართომასშტაბიანი შეტევა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

– თუ მოსკოვმა დონბასში რაიმე გაბედა, ეს უფრო სამხედრო-ჩეკისტური ოპერაცია იქნება, ფართომასშტაბიანი შეტევის დაწყება სრული სიგიჟეა, – ამბობს შვეცი.

მისი აზრით, დაძაბულობა გასტანს 21 აპრილამდე, როცა პუტინი ფედერალური კრების წინაშე გამოვა. ამ დღეს გადაწყდება, რა სცენარს აირჩევს რუსეთის პრეზიდენტი, რბილს თუ ხისტს.

რბილი სცენარი მოლაპარაკებებს მინსკიდან სხვაგან გადატანასა და მათ გაგრძელებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში დონბასი დუნე ომის რეჟიმს დაუბრუნდება.

მკაცრი სცენარი პუტინის მიერ დონეცკ-ლუგანსკის ფსევდორესპუბლიკების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში დონბასში შეტაკებები უფრო მწვავე, სისხლიან ხასიათს მიიღებს, მაგრამ ეს ფართომასშტაბიან ომში არ გადაიზრდება. უკრაინა რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტს, გართულდება ურთიერთობა რუსეთ-აშშ-ს, აგრეთვე რუსეთ-ევროკავშირს შორისაც.

1945 წლის შემდეგ ევროპაში პირველად წარმოიქმნება დაძაბულობის მძლავრი კერა.

– ხისტი სცენარი თავად პუტინის ძალაუფლებას შეუქმნის საფრთხეს, ამიტომ მის ინტერესებში უფრო რბილი სცენარია, – წერს ვიტალი პორტნიკოვი.

დღეისთვის უკრაინელთა 80% რუსეთს აგრესორად აღიქვამს, 74% მზად არის, სამშობლო იარაღით ხელში დაიცვას. უკრაინული ავანტიურაც მოსკოვს ძალზე ძვირად დაუჯდება.

ელისაბედ II-მ თაღლითებსა და მოძალადეებს რაინდის წოდება ჩამოართვა

ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ რაინდის წოდება 10 ადამიანს ჩამოართვა. ბოლო ათ წელიწადში იგივე ბედი 70-მა პიროვნებამ გაიზიარა. ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ ამ რაოდენობას რეკორდული უწოდა.

კერძოდ, გასულ წელს მონარქის კეთილგანწყობა და პატივისცემა დაკარგეს პროდიუსერმა ჰარვი ვაინშტეინმა, გაუპატიურებებში მხილებული ტონი ბლერისა და ჯონ მეიჯორის ყოფილი თანაშემწე მარკ რობერტ ადამსი, თაღლითობაზე გამოჭერილი ფინანსური დირექტორი ჰანიფ მოჰამედ ლალანი, ასევე მთელი რიგი პიროვნებები თაღლითობაში ან სექსუალური ხასიათის დანაშაულებში იყვნენ გარეული.

აღსანიშნავია, რომ თავისი მმართველობის განმავლობაში დედოფალმა ელისაბედ II-მ რაინდის წოდება 186 ადამიანს ჩამოართვა. მათ რიცხვში იყვნენ საბჭოთა დაზვერვაზე მომუშავეები კიმ ფილბი და ენტონი ბლანტი, ყოფილი მინისტრები ჯონ პროფუმო და კრის ჰიუინი, ასევე რობერტ მუგაბე და ნიკოლაე ჩაუშესკუ.

სომხეთის ექსპრეზიდენტი ნიკოლ ფაშინიანს უჩივის

სომხეთის ექსპრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

მოსარჩელე მოითხოვს, აღიარებულ იქნეს, რომ დაირღვა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება. ის ითხოვს იმ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მას ამ დარღვევისგან მიადგა. ასევე მოსარჩელე ითხოვს, რომ საჯაროდ უარყონ მის შესახებ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები.

სარჩელი ეფუძნება ნიკოლ ფაშინიანის მიერ 1 მარტის საპროტესტო აქციის დროს ერევანში, რესპუბლიკის მოედანზე გაკეთებულ განცხადებებს. რობერტ კოჩარიანის ადვოკატები ითხოვენ, რომ ფაშინიანის განცხადებები ყოფილი პრეზიდენტის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ჩაითვალოს.

ამასთან, ექსპრეზიდენტი კომპენსაციის სახით 4 მილიონ სომხურ დრამს ითხოვს.

აშშ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის წინააღმდეგ

ბაიდენის ადმინისტრაცია გაზპრომის პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის წინააღმდეგ ღონისძიებებს ააქტიურებს.

ბაიდენის ადმინისტრაცია აპირებს, დანიშნოს სპეცწარმომადგენელი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის ჩაშლისთვის განკუთვნილ ღონისძიებებს.

სპეცწარმომადგენლის პოსტზე განიხილება ენერგეტიკის საკითხებში ბაიდენის ყოფილი მრჩევლის, ამოსი ხოხშტეინის კანდიდატურა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეორეკურსელი სტუდენტურ საძმოში გაწევრიანების რიტუალს ემსხვერპლა



ამერიკის ოჰაიოს შტატში მეორეკურსელი სტუდენტი მას შემდეგ დაიღუპა, რაც სტუდენტურ საძმოში გაწევრიანების რიტუალში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ალკოჰოლის მიღებას ითვალისწინებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოულინგ გრინის სტუდენტმა სთოუნ ფოლტცმა მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ საძმოში გაწევრიანების ტრადიციულ რიტუალში.

ოთახის მეზობელმა, სადაც ფოლტცი ცხოვრობდა, ის უგონო მდგომარეობაში ნახა. მეორეკურსელი საავადმყოფოში გადაიყვანეს და რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. სამი დღის შემდეგ ის გარდაიცვალა.

უნივერსიტეტი ქცევის ექვსი ნორმის დარღვევაში დაადანაშაულეს. სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რიტუალის დროს სტუდენტებს თვალებს უხვევდნენ, სარდაფში ჩაჰყავდათ და მთელი ბოთლი ალკოჰოლური სასმელის დალევას აიძულებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გოგონამ შემთხვევით ერთ დოლარად აიფონი იყიდა

ამერიკელმა გოგონამ, სახელად სტეფანიმ, განაცხადა, რომ შემთხვევით ერთ დოლარად შეიძინა აიფონი. მის მიერ ნაყიდ დაკარგულ საფოსტო გზავნილებში ძვირფასი ნივთები აღმოჩნდა.

გოგონას თქმით, ის მიდის ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში საგანგებო შეხვედრაზე და ყიდულობს ათეულობით შეკვრას. გოგონა ამტკიცებს, რომ მოუკითხავ შეკვრებს სრულიად კანონიერად ყიდულობს.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სტეფანის ეჭვი ეპარებოდა, თუ რამდენად ლეგალური იყო ეს ყოველივე.

– ნუ მკითხავთ, ეს რამდენად კანონიერია, მაგრამ ლას-ვეგასში გაცვლით შეხვედრაზე შეგიძლიათ, ერთ დოლარად შეიძინოთ დაკარგული საფოსტო გზავნილები, – განაცხადა ადრე გოგონამ.

მოგვიანებით კი მან აღნიშნა, რომ უკვე 100-მდე ასეთი შეკვრა შეიძინა, უბრალოდ, საკუთარი სიამოვნებისთვის, რომ ნახოს, რას იპოვის მათში.

მაგალითად, გოგონამ უკვე მიიღო ვიზაბარათი 50 დოლარზე, აიპოდი, აიფონი და ეირპოდსი. გარდა ამისა, მან იპოვა მრავალი სამკაული, მათ შორის დიზაინერ მაიკლ კორსას ოქროს ახალი ყელსაბამი.

ქალმა სამი თვის წინ საკუთარ გაუჩინარებაში ქმარი დაადანაშაულა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ჩულა-ვისტას მცხოვრებმა ქალმა, რომელიც სამი თვის წინ უგზო-უკვლოდ დაიკარგა, გაუჩინარების წინ ყველაფერში საკუთარი მეუღლის დადანაშაულება ითხოვა.

39 წლის მაია მილეტი 7 იანვარს გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა, იმ დღეს, როცა ადვოკატს მომავალი განქორწინების პროცესის დაწყების თაობაზე შეხვედრაზე შეუთანხმდა. მისი ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა ანონიმურად განაცხადა, რომ ბოლოს ქალს ტელეფონით იმავე დღეს, 20:00 საათზე ესაუბრა და სამი შვილის დედა მილეტმა ის გააფრთხილა: „თუ რამე დამემართება, ამაში დამნაშავე ლარი იქნება“.

ქალის მეუღლის, ლარის ძმა, რიჩარდ დრუაიეტი, რომელმაც უკანასკნელად მილეტი მის გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე ნახა, ამტკიცებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მეუღლეების ურთიერთობა გაუარესდა. 2020 წლის განმავლობაში ლარი არაერთხელ დაუკავშირდა მილეტის ოჯახს და სთხოვა, რომ მათი ქორწინების გადარჩენაში დახმარებოდნენ.

– ის აგრესიულად იქცეოდა და თავიანთ ურთიერთობაში ჩვენს ჩათრევას ცდილობდა, – აცხადებს დრუაიეტი, – როდესაც მივხვდით, რომ ის იტყუებოდა, შეეცადა, თავისკენ გადავებირებინეთ.

მისი თქმით, ლარი სთხოვდა, მისთვის დაეჯერებინა და გამუდმებით იმეორებდა, რომ ყველაფერში დამნაშავე მისი ცოლი იყო.

მიუხედავად ოჯახის წევრების შემაშფოთებელი განცხადებებისა, ჩულა-ვისტას პოლიციამ მათში დანაშაულის მტკიცებულებები ვერ აღმოაჩინა და ეჭვმიტანილთა სია არ შეუდგენია.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, გვყავს ადამიანები, რომლებიც ქალის გაუჩინარების მთავარ მოწმეებად რჩებიან, – განაცხადა პოლიციის პრესმდივანმა ერიკ ტანბერგმა. მან ასევე აღნიშნა, რომ საქმის საგულდაგულო გამოძიება მიმდინარეობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზს ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გიორგი დონაძე, ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი:

– საქართველომ დაკარგა ეროვნული მოღვაწე, ქართული ტრადიციული მუსიკის გადამრჩენელი, მსოფლიოს წინაშე ჩვენი საგანძურის წარმდგენი, უამრავი თაობის აღმზრდელი, ახალი ექვთიმე თაყაიშვილი, ახალი ფილიმონ ქორიძე, ახალი ექვთიმე კერესელიძე და კარბელაშვილი...

პირადად მე კი დავკარგე უძვირფასესი მოძღვარი, მასწავლებელი, ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი, მამაშვილური სიყვარულით მარად ჩემზე მზრუნველი და გზის გამკვალავი ადამიანი.

უსაზღვროა მისი სიკეთე მოსწავლეთა და კოლეგათა მიმართ! საოცარია მისი თავგანწირვა სამშობლოსა და მუსიკისათვის! საკვირველია მისი თავმდაბლობა და დაუვიწყარია სინათლითა და სიყვარულით აღსავსე მისი ღიმილი და მისი სახე!

ჩვენ დავკარგეთ დიდი სიყვარული, მაგრამ, იმავდროულად, შევიძინეთ სიმბოლო, ზეციური მლოცველი და პატრონი ჩვენი საგანძურისა, რომელიც ამიერიდან მთაწმინდიდან, ღვთაებრივი ილიას დასში ჩამდგარი, მარადიულად გაგვინათებს ცხოვრების გზას თავისი უკვდავი საქმეებით, მხურვალე ლოცვითა და უჭკნობი დიდებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საზოგადოება

ყვარელში ვანდალიზმი ხდება

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნოდარ ბახტაძის ინფორმაციით, ყვარელში გაუგონარი ვანდალიზმი ხდება:

– ისეთი ზეწოლა, მუქარა და სტრესი გადავიტანე გრემის ნაქალაქარზე მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსის მიდამოში მშენებლობის ოფიციალური ნებართვებით აღჭურვილ ბიზნესმენთაგან – არქეოლოგიურად გამოვლენილი ძეგლების განადგურებისგან დაცვისას, შორიახლოს მყოფი ძეგლთა დაცვის სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელებისა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლისგან თვალის არიდების წყალობით, რომ ოჯახის წევრები მევედრებიან, დაივიწყე ეს საშინელი უკანონობანი, თავს გაუფრთხილდიო.

ვცადე, მაგრამ არ გამომდის – არანაკლები ვანდალიზმის შესახებ შევიტყვე: ახლა უკვე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს მივმართავ – სოს! ყვარლის მუნიციპალიტეტში, ყვარელი-თელავის გზატკეცილისა და ილიას ტბის მიმდებარედ დაჩქარებულად მიმდინარეობს სამების მთის დასახიჩრება გარემო ლანდშაფტთან უნიკალურად შერწყმული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მთის წვერზე გაშენებული ადრეული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსის იერსახის სრული იგნორირებით, ანუ ძეგლის ვიზუალური დაცვის ზონაში კერძო ბიზნესის წარმომადგენელმა ბულდოზერებითა და ექსკავატორებით უზარმაზარი ტყიანი ფერდობი მოანგრია და შექმნილ არაბუნებრივად დიდ ტერასაზე აშენებს მორიგ სასტუმრო კომპლექსს რესტორნებითურთ!

ამიერიდან ალაზნის ველის გაღმა მხარიდან კახეთის ამ მხარის ვიზუალური დომინანტის, ტყიანი მთების ფერდობზე კოხტად შეეყუჟული ნეკრესის ულამაზესი ანსამბლისა და სამების მთის წვერზე მდებარე სამონასტრო კომპლექსის ნაცვლად, აი, რაღაც ასეთი ურჩხული იქნება. რის სანახავადღა ვეპატიჟებით ტურისტებს? ამ ულამაზეს ეკლესიას, სხვა რომ არაფერი, ილია ჭავჭავაძე და მისი ოჯახის წევრები სტუმრობდნენ რეგულარულად – საგვარეულო სალოცავად მიიჩნევდნენ.

2009 წელს მონასტერში არქეოლოგიური კვლევა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით ჩვენ ჩავატარეთ. შედეგები გამოქვეყნებულია, შემდეგ გაცილებით გონიერმა ბიზნესმენმა რეაბილიტაცია საკუთარი სახსრებით ჩაუტარა, ახლა კი სრულ იგნორირებას ვხედავთ, ვითომც საკუთარ ყანაში არიან – რის ეკლესია, რა მონასტერი.

კვლავ და კვლავ, მერამდენეჯერ ვკითხულობ: ვინ გაყიდა სამების მთა? ვინ გასცა ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის სიმბიოზის ამ უნიკალური ძეგლის ასე ვანდალურად დამამახინჯებელი მშენებლობის ნებართვები და თანხმობები?

ეს აბსოლუტურად იგივეა, მცხეთის ჯვრის მონასტრის წინ, მცხეთის მხარის ფერდობზე რომ ააშენონ სასტუმრო და რესტორანი. ამაზე თანხმობის გამცემ პიროვნებებს ან სამსახურებრივ პროფესიონალიზმთან და კულტურასთან აქვთ სერიოზული პრობლემები, ან სინდისთან!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„მილანი“ და „იუვენტუსი“ კვარაცხელიასთვის ბრძოლას იწყებენ

საიტი ტოტოიუვე 24 წერს, რომ „იუვენტუსი“ „რუბინის“ ქართველი შემტევის, ხვიჩა კვარაცხელიას დამატებაზე სერიოზულად ფიქრობს.

წყაროს ცნობით, ეს ტურინელთა სპორტული დირექტორის ფაბიო პარატიჩის ერთ-ერთი მიზანი ყოფილა, თუმცა ჩვენი იტალიელი კოლეგები იქვე წერენ, რომ მას დაბრკოლებები შეექმნება.

„ომი დაწყებულია... პარატიჩი სერიოზულად ფიქრობს, რომ კვარაცხელია შეიძინოს, რადგან ის ახალგაზრდაა და ტურინში ფიქრობენ, რომ დიდი მომავალი აქვს.

თუმცა „იუვენტუსის“ სპორტულ დირექტორს ძალიან დიდი დაბრკოლება შეექმნება. „მილანს“ ფეხბურთელის მიმართ ასევე სერიოზული ინტერესი გააჩნია და თანაც „რუბინი“ კვარაცხელიას სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვს, რაც საკმაოდ სერიოზული თანხაა“, – წერს საიტი.

უკვე რამდენიმე კვირაა, თითქმის ყველა იტალიური წყარო ადასტურებს ცნობას, რომ „მილანსაც“ და „იუვესაც“ სურთ კვარაცხელიას შეძენა.

იწერება იმის შესახებაც, რომ ხვიჩას აგენტი მამუკა ჯუღელი იტალიაში ჩავა და ორივე გუნდის წარმომადგენლებს დაელაპარაკება.

მბაპემ „ბაიერნს“ მოუგო, „ჩელსი“ თითქმის ნახევარფინალშია

უეფას ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის პირველი რაუნდი დასრულდა და გარკვეული კონტურები უკვე გამოიკვეთა, მაგრამ ცხადია, ყველაფერი ერთ კვირაში საპასუხო შეხვედრებში გაირკვევა.

მთავარი დაპირისპირება მიუნხენში შედგა, სადაც გასული სეზონის ფინალის რიმეიქი გაიმართა. ანგარიში მესამე წუთზე კილიან მბაპემ გახსნა, მაგრამ მანუელ ნოიერის არადამაჯერებელი ქმედება და შეცდომაც აშკარა იყო. პარიზელებმა დასაწყისშივე მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ „ბაიერნი“ შეტევაში აქტიურობდა და უფრო უკეთ რომ გამოეყენებინა საგოლე მომენტები, ანგარიშს მალევე გაათანაბრებდა. სტუმრებმა კი მეორე ნორმალური შეტევაც გოლად აქციეს. ნეიმარმა საოცარი პასი გააკეთა და მარკინიოსი ნოიერთან პირისპირ დარჩა, ბრაზილიელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. სხვათა შორის, ნეიმარმა პირველი გოლის დროსაც საგოლე პასი გააკეთა და ასისტების დუბლი მიითვალა.

„ბაიერნმა“ შესვენებამდე შეამცირა სხვაობა და ერიკ ჩუპო-მოტინგმა ყოფილი გუნდის კარი დალაშქრა.

სხვაობის შემცირების შემდეგ „რეკორდმაისტერმა“ ზეწოლა გაზარდა და მეორე ტაიმის დასაწყისში ტომას მიულერმა გაათანაბრა. მიულერმა ჩემპიონთა ლიგაზე 48-ე გოლი გაიტანა და ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ანდრეი შევჩენკოს გაუთანაბრდა.

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, „პარი სენ ჟერმენი“ შეტევაში უბრალოდ უშეცდომო იყო და 68-ე წუთზე მბაპემ დუბლი შეასრულა. სხვათა შორის, მბაპემ ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში მე-13 გოლი გაიტანა და ფრანგ ფეხბურთელებში ტიერი ანრის გადაასწრო (12 გოლი), მხოლოდ კარიმ ბენზემას ჩამორჩება (19).

დარჩენილ დროში მაურისიო პოჩეტინოს გუნდმა საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა და ნახევარფინალისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა.

„ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგაზე საშინაო მატჩი ბოლოს 2018 წელს „ლივერპულთან“ ჰქონდა წაგებული და ეს სერია შეწყვიტა. წინ საპასუხო მატჩია და „ბაიერნი“ საკმაოდ რთული ამოცანის წინაშეა, რადგან პრაქტიკულად აუცილებლად ორბურთიანი სხვაობით უნდა მოიგოს, თანაც იმ მატჩშიც არ იქნება რობერტ ლევანდოვსკი.

მეორე შეხვედრაში კი ყველაფერი გაირკვა. „ჩელსიმ“ ნომინალური სტუმრის რანგში „პორტუ“ მეისონ მაუნთისა და ბენ ჩილველის გოლებით დამაჯერებლად დაამარცხა და საპასუხო თამაშს პრაქტიკულად აზრი დაუკარგა.

ორივე წყვილში განმეორებითი მატჩები 13 აპრილს გაიმართება.

გოგა ბითაძემ მატჩი სასტარტოში დაიწყო – 14 ქულა, 3 მოხსნა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გოგა ბითაძეს ბოლო დროს ხშირად ენდობიან და ის იმედებს ნამდვილად ამართლებს.

ქართველი კალათბურთელის გუნდი მორიგ ტურში „მინესოტას“ დაუპირისპირდა და ძალზე დაძაბულ ბრძოლაში მეტოქე 141:137 დაამარცხა.

აღნიშნულ შეხვედრაში ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო და პარკეტზე 25:24 წუთი გაატარა. მან 14 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ 7-დან 4 ორქულიანი და 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო საჯარიმო არ უსვრია. მას ბურთი არ დაუკარგავს და 4-ჯერ დაჯარიმდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მაილს ტერნერისა და დომანტას საბონისის არყოფნის გამო ქართველ ცენტრს მეტი სათამაშო დრო ეძლევა, რასაც გოგა ძალიან კარგად იყენებს და ნბა-ში პირადი რეკორდიც დაამყარა. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა კალათბურთელისთვის 14 ქულა სარეკორდოა. მას აქამდე ყველაზე მეტი 13 ქულა ჰქონდა ჩაგდებული.

ყველაზე შედეგიანი „მინესოტის“ კალათბურთელი კარლ ენტონი თაუნსი იყო, რომელმაც არასრულ 35 წუთში 32 ქულით, 12 მოხსნითა და 6 პასით ორმაგი დუბლი მიითვალა. „ინდიანადან“ კი ყველაზე მეტი ქულა აარონ ჰოლიდეიმ ჩააგდო. 24 წლის ამერიკელის ანგარიშზე 22 ქულა, 1 მოხსნა და 3 პასია.

„პეისერსს“ 23 მოგება და 27 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-9 პოზიციაზე იმყოფება.

გოგა ბითაძე და მისი თანაგუნდელები მომდევნო შეხვედრას 10 აპრილს „ორლანდო მეჯიქის“ წინააღმდეგ გამართავენ.

ბათუმის „დინამოს“ დაუმარცხებელი სერია გრძელდება

საქართველოს კრისტალბეთ ეროვნული ლიგის მეშვიდე ტური თელავში დასრულდა, სადაც ადგილობრივმა კლუბმა ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მაგრამ ნაანტრაქტევს გულშემატკივარმა გაცილებით საინტერესო ფეხბურთი იხილა. გია გეგუჩაძის გუნდმა ორწუთიან ინტერვალში ორი გოლი გაიტანა. ანგარიში ჯაბა ჯიღაურმა გახსნა, რასაც სანდრო ალთუნაშვილის გოლი მოჰყვა – 0:2.

მასპინძლებმა რატი არდაზიშვილის გოლით მალევე შეამცირეს სხვაობა და თამაში დაიძაბა. „თელავს“ ქულის გადარჩენა შეეძლო და საგოლე მომენტებიც შექმნა, მათ შორის ბოლო წამზე, მაგრამ ბათუმელები გოლს გადაურჩნენ.

საბოლოოდ 2:1 ზღვისპირელთა სასარგებლოდ.

ბათუმის „დინამომ“ 15 ქულა დააგროვა, სეზონში ერთადერთი წაუგებელი გუნდია და მომდევნო შეხვედრას „სამგურალთან“ 12 აპრილს გამართავს. „თელავი“ კი 6 ქულით მე-7 ადგილზეა და წინ გორის „დილასთან“ დაპირისპირება ელის.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ნიკა ბასილაშვილი კალიარის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი კალიარინში მიმდინარე 250-ქულიანი ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა. მერვედფინალში ნიკოლოზმა სლოვაკი იოზეფ კოვალიკი 4:6, 6:4, 7:5 დაამარცხა.

განვლილ შეხვედრაში ბასილაშვილმა ხუთი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ეისი არ ჰქონია, ხოლო სლოვაკმა ხუთი ეისი შეასრულა და სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

საბოლოოდ, ნიკოლოზმა 244 გათამაშებიდან 124 მოიგო და შემდეგი ეტაპის საგზური მოიპოვა.

მეოთხედფინალში ბასილაშვილი იალ ლენარდ შტრუფს შეხვდება, რომელმაც მერვედფინალში ლიამ ბროდი დაამარცხა.

ქართველი და გერმანელი ერთმანეთს ექვსჯერ შეხვდნენ და ნიკოლოზმა ორი მატჩი მოიგო.

ბასილაშვილმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო შტრუფთან.

საქართველოს ნაკრები 91-ე ადგილზე გადავიდა

„ფიფა-კოკა კოლას“ განახლებულ რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რეგრესი განიცადა, რადგანაც უკანასკნელ სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება მოახერხა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ვილი სანიოლის გუნდის თამაშში ბევრი პოზიტიური ელემენტი შეინიშნებოდა. რაც მთავარია, გუნდი თანამედროვე ფეხბურთის თამაშსა და გამარჯვებას ცდილობდა. შესაბამისად, რეიტინგში მცირე რეგრესი ნამდვილად არ გვაშფოთებს.

ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიო რეიტინგში 91-ე ადგილს იკავებს. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ქართველების მეტოქეებს – ესპანეთის ნაკრები მე-6 ადგილზეა, შვედეთი მე-18 პოზიციას იკავებს, ჩვენზე საკმაოდ წინაა საბერძნეთის ნაკრები (51-ე), ხოლო კოსოვოელები საქართველოს ნაკრებზე უკან, 120-ზე არიან.

მოწინავე ხუთეული ასე გამოიყურება:

1. ბელგია;
2. საფრანგეთი;
3. ბრაზილია;
4. ინგლისი;
5. პორტუგალია.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. ქსოვილების დამამზადებელი ოსტატი; 3. მოღრუბლული დილა; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 5. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 11. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 12. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 14. ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი; 16. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 17. სპარსული მითებისა და ლეგენდების კრებული; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. თბილისში, კუსტბის ძველი სახელწოდება; 22. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში.

თარაზულად: 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 8. ამერიკელ მწერალ სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი; 20. მდინარე ფლორენციაში; 21. ავღანეთის დედაქალაქი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. მოგრძო, მრგვალი ბალიში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კაფი; 2. ემუ; 3. რეზონანსი; 4. ღორჯო; 5. კახიანი; 8. რური; 9. ფოცხოვი; 10. დეპოზიტი; 12. მახვში; 13. მზაღო; 15. უფიცა.

თარაზულად: 1. კირთაძე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. დრონი; 11. თრუსო; 13. მახნო; 14. ჯრუჭი; 16. ვერა; 17. ინგლისი; 18. ბოტასი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მარგალიტი; 2. სუარესი; 3. მიკოზი; 4. შარკო; 5. გიურზა; 11. ხამონი; 12. მადერა; 14. ბივა; 16. პატრული; 17. იზაბელა; 19. მურილიო; 21. ცენტი; 22. ხაშმი.

თარაზულად: 6. ხაჭაპური; 7. გვარდია; 8. კუპრი; 9. კარატე; 10. ზესხო; 13. შტაბი; 15. იპოქონდრია; 18. დიორამა; 20. ზარა; 21. ცერული; 23. მირზაშვილი; 24. ლოპოტა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4134	ევრო — 4.0585
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7187	100 რუსული რუბლი — 4.3970

ამინდის პროგნოზი 9 აპრილისათვის

მეისონ მაუნთი: „ჩემპიონთა ლიგაში გოლის გატანა სასიამოვნო შეგრძნებაა“

ჩელსის ახალგაზრდა შემტევმა მეისონ მაუნთმა პორტოსთან მატჩში ჩემპიონთა ლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა და ამის შესახებ თამაშის შემდეგ კომენტარიც გააკეთა.

მისი თქმით, ეს შესანიშნავი გრძნობაა და ეცდება, მომავალში გოლები კიდევ ბევრჯერ გაიტანოს:

– მინდოდა, გუნდს დავხმარებოდი და მიხარია, რომ ამის გაკეთება შევძელი. ჩემპიონთა ლიგაში გოლის გატანა მაბედნიერებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა ქორწილის დროს შვილის პატარძალში დაკარგული ქალიშვილი ამოიცნო

ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ სუჩჟოუს მცხოვრებმა ქალმა ქორწილის დროს საკუთარი შვილის პატარძალში თავისი დიდი ხნის წინ დაკარგული გოგონა ამოიცნო.

31 მარტს, თავისი შვილის ქორწილის დროს, ქალმა მისი პატარძლის ხელზე ხალი შენიშნა. ის გაოგნდა, რადგანაც სწორედ ასეთი ხალი ჰქონდა მის ქალიშვილსაც, რომელიც მრავალი წლის წინ დაკარგა.

ქალი პატარძლის მშობლებთან მივიდა და ჰკითხა, გოგონა 20 წელზე მეტი ხნის წინ ხომ არ ჰყავდათ ნაშვილები. ოჯახი ამ კითხვამ გააოგნა, ვინაიდან ისინი ამ ფაქტს დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ. აღმოჩნდა, რომ ოდესღაც მათ გოგონა გზის პირას იპოვეს, შვილად აიყვანეს და გაზარდეს.

პატარძლის თქმით, დედასთან შეხვედრა მისთვის გაცილებით ბედნიერ მოვლენად იქცა, ვიდრე თავად ქორწილი იყო. გოგონა შეაწუხა იმ ფაქტმა, რომ ცოლად თავის უფროს ძმას მიჰყვებოდა, მაგრამ მაშინ დედამისმა აღიარა, რომ მას შემდეგ, რაც დაკარგული ქალიშვილის პოვნის იმედი დაკარგა, მისი საქმრო იშვილა. ასე რომ, ქორწილისთვის არანაირი წინააღმდეგობა აღარ არსებობდა, ვინაიდან სიძე და პატარძალი ბიოლოგიური ნათესავები არ აღმოჩნდნენ.

ამ ფაქტმა პატარძალი დაამშვიდა და ქორწილი გაგრძელდა.

იუმორი

ქმარი ცოლს ეკითხება:
– შენ ჰიპნოზიორი ხარ?
– არა.
– აბა, ცოლად რატომ მოგიყვანე?

ვერთი პატიმარი მეორეს ეკითხება:
– რისთვის მოგისაჯეს პატიმრობა:
– გედებს პურის ნამცეცებს ვესროდი.
– და მაგაში რა არის კანონსაწინააღმდეგო?
– ოპერაში, „გედების ტბაზე“.

●●●

სასამართლოში ცოლ-ქმრის განქორწინების საქმე განიხილება, რომელთაც სამი შვილი ჰყავთ. ცოლი ამბობს:
– ორი შვილი მე, ერთი ქმარს!
– არა, ორი შვილი მე, ერთი ცოლს! – ამტკიცებს ქმარი.

ასე კამათში გადის ნახევარი საათი, ერთი საათი. მოსამართლე დაიღალა და ეუბნება:
– ჩქარა გადაწყვიტეთ!

ბოლოს ქალმა ველარ მოითმინა და ქმარს ეუბნება:
– კარგი, წავიდეთ და მომავალ წელს გავშორდეთ, როდესაც მეოთხე ბავშვი გვეყოლება.

●●●

გინეკოლოგთან ახალგაზრდა, ლამაზი ქალი შედის. ექიმი ეუბნება:
– გაიხადეთ და დაწექით.
– იცით, ექიმო, მრცხვენია.
– კარგით, შუქს ჩავაქრობ.
– და ტანსაცმელი სად დავაწყო?
– აი აქ, პირდაპირ ჩემ ტანსაცმელზე დააწყვეთ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რა მსგავსებაა იმათ შორის, რომლებიც ამბობენ, რომ „უფრო მეტი უნდა დალიო“ და იმათ შორის, რომლებიც ამბობენ, რომ „უფრო ნაკლები უნდა დალიო“?
– რა და ის, რომ დალევა აუცილებელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თეონა კონტრიძე 9 აპრილს მოსკოვში კონცერტს გამართავს

ქართველი მომღერალი თეონა კონტრიძე 9 აპრილს მოსკოვში კონცერტს გამართავს.

საღამოს ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ეს იქნება რადიკალურად განსხვავებული და სრულიად უნიკალური კონცერტი ქართველი ჯაზმომღერლის შესრულებით.

თეონას კონცერტი „ვეგას სითი ჰოლში“ ჩატარდება და მასზე დასასწრები ბილეთი 1500-6000 რუბლი ღირს.

მამუკა ჩარკვიანი ბაბუა გახდა

მომღერალი და არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი მამუკა ჩარკვიანი ბაბუა გახდა.

ოჯახში პატარა გოგონა – ლანა გაჩნდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მამუკას შვილის, ჯაკო ჩარკვიანის რჩეული ნინო ნიჟარაძეა.

წყვილმა ახალშობილთან ერთად უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

მერაბ ფიფია დააჯილდოვეს

მთარგმნელი მერაბ ფიფია გერონტი ქიქოძის პრემიით დააჯილდოვეს:

– გადმომცეს გერონტი ქიქოძის პრემიის აღმნიშვნელი სტატუეტი და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამომცემლობა აგორას, ჟიურის წევრებს, სულაკაურის გამომცემლობასა და ერთგულ მკითხველებს! მადლობა გიგი მიქელაძეს ამ არაჩვეულებრივი ნამუშევრისთვის.

ნუგზარ ერგემლიძე წამყვანი გახდა

მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე წამყვანი გახდა. სულ მალე მაყურებელი „ბათუმი ტივის“ ეთერში მის საავტორო შოუს ნახავს.

ეს იქნება გასართობი შოუ და მისი სტუმრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანები იქნებიან.

გუჯა ბურდული 80 წლისაა

მსახიობი გუჯა ბურდული 80 წლის გახდა. საიუბილეო თარიღი ხელოვანმა პანდემიის გამო არ აღნიშნა და მხოლოდ ოჯახის წევრების გარემოცვაში ყოფნით შემოიფარგლა.

გუჯა ბურდულს არაერთხელ უთქვამს, რომ მსახიობი სრულიად შემთხვევით გახდა, თუმცა მაყურებელმა მის მიერ განსახიერებული როლები შეიყვარა და იუბილარი ხელოვანი სითბოთი და სიყვარულით გაანებივრა.

მიუხედავად არაერთი ცნობილი რეჟისორის ფილმში მონაწილეობისა, გუჯა ბურდულის შემოქმედების სავიზიტო ბარათი მაინც თემურ ბაბლუანის „უძინართა მზეა“. იუბილარი მსახიობის მიერ გელა ექიმის როლის შესრულებამ და სიმღერა „რიმ დარი რომ“ გუჯა ბურდულს საყოველთაო პოპულარობა მოუტანა.

„კომედი შოუს“ მსახიობ ლაშა გაბუნიას თურქეთში ოპერაცია ჩაუტარდა

„კომედი შოუს“ ერთ-ერთ მსახიობს, ცნობილ იუმორისტ ლაშა გაბუნიას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და ექიმების დახმარება დასჭირდა.

იუმორისტი თურქეთში გადაიყვანეს, სადაც ხერხემალზე ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა თავს უკეთესად გრძნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზს ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა



ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზს ლოტბარ ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა. ეს სასიხარულო ინფორმაცია საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის ულამაზეს დარბაზს, რომელიც სწორედ ამ დიდ მოღვაწესთან ერთად გავხსენით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის დარბაზი ერქმევა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მამაკაცმა საკუთარ საძინებელში უცნობი შიშველი ქალი აღმოაჩინა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ კილინში მამაკაცმა საკუთარი ბინის საძინებელ ოთახში უცნობი შიშველი ქალი აღმოაჩინა.

ღამით სახლის პატრონი მეზობელი ოთახიდან გამომავალმა ხმაურმა გააღვიძა. დილით მან ხმაურის მიზეზს მიაგნო. ის 28 წლის ჰოვიტ ვონი აღმოჩნდა, რომელსაც მეორე საძინებელ ოთახში გასაბერ ლეიბზე ეძინა. მას შემდეგ, რაც მამაკაცმა მისი გაგდება ვერ მოახერხა, პოლიცია გამოიძახა.

როდესაც შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ, ქალმა მათ განუცხადა, რომ ის ამ სახლში 2009 წელს ცხოვრობდა და მის დატოვებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მას სხვის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევის ბრალდება წაუყენეს და დააპატიმრეს. დაპატიმრების დროს ქალმა ერთ-ერთ პოლიციელს შეაფურთხა და ამის გამო დამატებითი, სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფის ბრალდება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 აპრილისათვის

ვერძი – ეს დღე აღინიშნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციებით. საქმიანი კონტაქტები ნაყოფიერი არ იქნება. **კურო** – პასიური დღეა. მშვიდად იყავით და საკუთარი შეცდომების გამოსწორებაზე იფიქრეთ. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან. ემოციებს ნუ აჰყვებით. **კირჩხიბი** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. ეცადეთ, ეს დღე ბუნებასთან სიახლოვეს გაატაროთ. **ლომი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. **ქალწული** – საქმიან ურთიერთობებში პრობლემებია მოსალოდნელი. მიენდეთ ინტუიციას. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. მოსალოდნელია ურთიერთობის გაუარესება კოლეგებთან. **ღრიანკალი** – აქტიური დღეა. შრომა უთუოდ დაგიფასდებათ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **მშვილდოსანი** – ახალ ნაცნობობას ერიდეთ. საქმიანი კონტაქტები მაქსიმალურად შეზღუდეთ. **თხის რქა** – თქვენი არასტანდარტული შეხედულებები სამსახურში ხელმძღვანელობისა და კოლეგების უკმაყოფილებას გამოიწვევს. დისციპლინა და ორგანიზებულობა დღის დევიზია. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. ანგარიში გაუწიეთ სხვის აზრს. **თევზები** – ნებისმიერი წამოწყება სასიკეთოა. თქვენი ოპტიმიზმი გადამდებია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. კათოლიკური მღვდელმსახურება; 2. ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული; 3. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 4. ხრახნული კონვეიერი; 5. თავხედური გულახდილობა; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. სამართლის დარღვევა, დანაშაული; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 12. საქართველოში გავრცელებული ძალზე მაგარმერქნიანი, წითელ წიგნში შეტანილი ფოთლოვანი ხე; 13. ფინეთის პრეზიდენტი; 15. უძველესი, ისტორიული ქალაქი ჯავახეთში.

თარაზულად: 1. ქართული ტელეკომპანია; 6. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 7. იაპონური აბანო; 10. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 11. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 13. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო; 14. შავი, წვრილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. ეგრისის მთავარი; 17. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 18. ქართველი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა